სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№4 (262) აპრილი, 2013 წ. www.tsmu.edu

ნომერშია:

დიდი მეცნიერის და პედაგოგის, აკადემიკოს **არჩილ ასათიანის** დაბადებიდან 80 წლისთავის საიუბილეოდ

მოწაფის მადლიერება

გვ. 2

ღირსნი დიდი სიყვარულისა და პატივგებისა...

ისინი ქმნიდნენ ქართულ მედიცინას

გვ. 3-4

ქართველი მედიკოსი წარსულის ისტორიით:

პროფესორი თეიმურაზ პეტრიაშვილი მე-18 საუკუნის საქართველოზე

გვ. 4

რესპუბლიკური საავადმყოფო, დაზარალებული სტუდენტები, ექიმები და პაციენტები... რა იქნება ხვალ?

პასუხი კლინიკის ახალი ხელმძღვანელისგან

გვ. 5-6

გარემოს ჰიგიენის სადღეისო პრობლემები პროფესორ რევაზ კვერენჩხილაძის თვალსაზრისით

გვ. 7-8

„სამედიცინო გაზეთის" რედაქცია:

ვაჟა-ფშაველას გამზ. №33;

ოთახი №600

ტ.: 254-24-64;

რედაქტორი

დალი გაბეშია

ტ: 599 76-25-98

კორესპონდენტები:

მანანა ფხალაძე

ტ.: 555 29 98 27

დარეჯან კომლაძე

ტ.: 558 17 08 47

ნატო ბოლქვაძე

ტ.: 555 28 28 97

ელ. ფოსტა: medpressa@yahoo.com

აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

მალე დიდმარხვის ბოლო, მძიმე კვირაც მიილევა, რომელიც ადამიანის სრულყოფის, მისი უფალთან მიახლოების სანინდარია. უფალი ამბობს: **„იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქვენი ზეცათაჲ სრულ არს"**. საკამათო არ არის, რომ სრულყოფილი მხოლოდ მაცხოვარია, ჩვენი ყველა ქმედება კი სრულყოფისკენ მიმავალ გზაზე გადადგმული ნაბიჯებია, რომელიც, უპირველესად, სიყვარულით უნდა გავიაროთ, რამეთუ მთელი სახარება, როგორც **იოანე ღვთისმეტყველი** გვასწავლის, სწორედ ერთ სიტყვაშია მოქცეული: სიყვარულში...

შემოქმედმა მისტიკურად და რეალურად განიცადა ადამიანთა მოდგმის ტკივილი და სატანჯველი და ჯვარს ეცვა კაცობრიობის ხსნისთვის. მის მაცხოვნებელ ძალას და გამოუთქმელ სიდიადეს კი უფლის აღდგომის დასტურად და მორწმუნეთა გასახარად მაცხოვრის საფლავზე ანთებული სასწაულმოქმედი ცეცხლი ცხადყოფს ყველაზე ხილულად და საჩინოდ, რომელიც კიდევ ერთხელ მთელი სიცხადით გვაგრძნობინებს, რომ „ჩვენთან არს ღმერთი", რათა ჩვენც მასთან ვიყოთ საუკუნო სიხარულში „აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე".

14 აპრილი დედაენის დღე

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს!"



„დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენით.

და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა **ლაზარე** ჰქვიან.

და ესე ენაი შემკული და კურთხეულია სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა"...

იოანე ზოსიმე: „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ"

გვასსოვდეს 9 აპრილი!

სტუდენტური დღეები – 2013

14 აპრილს ვაკის პარკში საზეიმოდ გაიხსნა **„სტუდენტური დღეები ნარკომანიის წინააღმდეგ – 2013"**. სტუდენტური დღეების მონაწილეებს მიესალმა საქართველოს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი.**

საზეიმო კონცერტში მონაწილეობდნენ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი შემსრულებლები: **სალომე ბაკურაძე, ოთო ნემსაძე, გიორგი სუხიტაშვილი, თიკა მახალდიანი, ლუკა ზაქარიაძე, მარიკო ებრალიძე, სალომე ქათამაძე, ნინო გველესიანი** და სხვები.

ღონისძიებაში მონაწილე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტებს გადაეცათ მონაწილეობის დამადასტურებელი სიგელები.

სტუდენტური დღეების გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები და სტუდენტები, რომლებიც აქტიურად ჩაერთვებიან ამ საყოველთაო, საინტერესო ღონისძიებაში და დარწმუნებულნი ვართ, როგორც ყოველთვის, წარმატებებით გაგვახარებენ.

ლექციები გრძელდება

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული პროგრამის ფარგლებში გრძელდება უცხოელი პროფესორებისა და სპეციალისტების ლექციები თსსუ-ში. ახლახან უნივერსიტეტს ეწვია თელ-ავივის უნივერსიტეტის **(ისრაელი)** სოურასკის სამედიცინო ცენტრის დანა-დვაკის ბავშვთა ჰოსპიტლის პედიატრიული ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **იცხაკ ვინოგრადი** და ინსბრუკის უნივერსიტეტის **(ავსტრია)** ნეიროქირურგიის დეპარტამენტის პროფესორი **ჰერვიგ კოსტრონი.** ლექციებს ესწრებოდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, რეზიდენტები, პროფესორ-მასწავლებლები. პროფესორმა იცხაკ ვინოგრადმა, ასევე, ქართველი კოლეგებისთვის ჩაატარა კონსულტაციები და საჩვენებელი ოპერაციები.

მოსაგონარი

მისი ცხოვრება სამაგალითო და საამაყო..

ადამიანის ცხოვრებაში გამოიკვეთება მოვლენები და პიროვნებები, რომლებიც დროის პერიოდების ათვლის წერტილებად იქცევა ხოლმე. და ბედნიერებაა, როდესაც ამგვარი მოვლენა პოზიტიურია, პიროვნება კი – პატივსაცემი და სამაგალითო.

ჩემს ცხოვრებაში აქტიური პროფესიული საქმიანობის დაწყების შემდეგ ასეთი ფიგურა ბატონი **არჩილ ასათიანი** გახლდათ. როდესაც, სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, ფიზიოლოგიის კათედრის ასპირანტი გავხდი და პროფესორ არჩილ ასათიანის ხელმძღვანელობით შევუდექი კვლევით მუშაობას, გულახდილად რომ ვთქვა, ჩემი მხრიდან ბატონი არჩილისადმი მოწიწების, რიდის, გაუბედაობის გრძნობა სჭარბობდა. იმხანად ბატონი არჩილი – თავადაც ახალგაზრდა მეცნიერი, პედაგოგი და ორგანიზატორი – უამრავი პროგრესული იდეის ავტორი და გამტარებელი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად – სამედიცინო უნივერსიტეტის) პროფესურასა და სტუდენტებს შორის. მისი პრინციპულობა, პირდაპირობა, უკომპრომისობა, ნოვატორობა ხომ ხშირად ლეგენდების საფუძველიც კი ხდებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კვლევითი მუშაობის, განსაკუთრებით, კვლევის ორგანიზების, არაერთი პრინციპი და მექანიზმი, რომელიც სამეცნიერო თანამეგობრობაში აქტუალურია დღეს და, ზოგჯერ, სიახლედაც ცხადდება ხოლმე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-80 – იან წლებში არჩილ ასათიანის ინიციატივით და ხელმძღვანელობით ინერგებოდა და მუშაობდა სამედიცინო უნივერსიტეტში.

ბატონი არჩილი მამაჩემთან მეგობრობდა. ამ დამოკიდებულებას ჩემთან მიმართებაშიც ყოველთვის ვგრძნობდი და მადლიერი ვიყავი. ბატონი არჩილი ხომ, მისი მკაცრი იმიჯის ფონზე, თბილი და სენტიმენტალური ბუნების, დამერწმუნეთ, გულჩვილიც კი, ბრძანდებოდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მას ჩემთვის არასდროს მოუცია „არასწორი" თავისუფლება და მისი ჩემდამი ნამდვილად მზრუნველი დამოკიდებულების ბოროტად გამოყენების უფლება. და ამისთვის მისი ძალიან მადლიერი ვარ. თუ რამეს მივაღწიე ჩემს პროფესიაში, ამაში ლომის წილი, სწორედ, ბატონი არჩილის ასეთ პოზიციას მიუძღვის. იგი სწორად ხედავდა, მართავდა და ნელ-ნელა ძერწავდა იმ საქმიან თვისებებს ჩემში (და არა მარტო ჩემში), რომელიც აუცილებელია მკვლევარისა და პედაგოგისთვის.

ჩემთვის ყველაზე დიდი პატივი და ბატონი არჩილის მხრიდან ჩემი, როგორც მკვლევარის, გარკვეულწილად აღიარება იყო ის, რომ მან მისი ქალიშვილის, ქეთევანის – სამეცნიერო ხელმძღვანელობა მომანდო. ორივე, ქეთევანი და მეც, ვეცადეთ, ეს თანამშრომლობა ჩვენი მორალური ვალდებულებების და საზოგადოების მოლოდინის საკადრისი ყოფილიყო. ვფიქრობ, არავის გავუცრუეთ იმედები. ცხადია, ეს ჩემს დამსახურებად სულაც არ მიმაჩნია. ქეთევანი თავად რომაა ნიჭიერი და ორგანიზებული ახალგაზრდა, ამაზე მისი წარმატებული საექიმო და კვლევითი კარიერა მეტყველებს. მე მხოლოდ მადლობელი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა იმ დამოკიდებულების და გამოცდილების გაცემისა, რაც თავად მივიღე ბატონი არჩილისგან; ძალიან მინდა არაფერი შემეშალოს, ვიყო მისი პატივისმცემელი მოწაფე და მოვიქცე ჩემი მასწავლებლისადმი ისე, როგორც მას – ღირსეულ პიროვნებას, მოქალაქეს, მეცნიერს, პედაგოგს – ნამდვილად ეგების, მინდა მოვიქცე ისე, როგორც თავად მიაგებდა პატივს და აფასებდა მასწავლებელთ; 2005 წელს სამედიცინო უნივერსიტეტი, ბატონი არჩილის თაოსნობით, პროფესორ ალექსანდრე ბაკურაძის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად ემზადებოდა, ბატონი არჩილის ჯანმრთელობამ ამ პერიოდში შერყევა დაიწყო; არასოდეს დამავიწყდება მისი სახე და სიტყვები: ეს იუბილე უნდა მოვასწრო, ეს ჩემი ვალიაო... მე, პირადად, ცრემლი ერთხელ ვნახე მის თვალზე, როდესაც ალექსანდრე ბაკურაძე გარდაიცვალა. ბატონი არჩილი ყოველთვის იყო იქ და იმ დროს, როცა მეგობრებს და კოლეგებს სჭირდებოდა. პირადად ბევრი ასეთი მაგალითის მოწმე ვარ.

ჩემთვის საპასუხისმგებლო და საამაყო ტვირთია ვხელმძღვანელობდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის დეპარტამენტს, საქმეს, რომელსაც თავის დროზე უძღვებოდნენ ბატონები: **გიორგი ვაწაძე, ალექსანდრე ბაკურაძე, არჩილ ასათიანი**. თითოეულმა მათგანმა ხომ ეპოქა შექმნა! თითოეული მათგანის ცხოვრება და მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიის მნიშვნელოვანი და საამაყო ფურცელია. ცხადია, იცვლება დრო, გარემოებები, ვიცვლებით ჩვენც – ადამიანები, ვინც ამ გარემოებებს ვქმნით; მაგრამ უცვლელი იყო, არის და იქნება მარადიული ფასეულობები – სიკეთე, მადლი, წესიერება, ერთგულება, შრომისმოყვარეობა, მიმტევებლობა. ეს ის კატეგორიებია, რომელიც ბატონმა არჩილ ასათიანმა დატოვა ფიზიოლოგიის დეპარტამენტში და ასეც იქნება, სანამ ვართ ჩვენ – მისი კოლეგები, მოსწავლეები, მოსწავლეთა მოსწავლეები...

წლეულს, 28 აპრილს, **არჩილ ასათიანი** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგე (1987-2004), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი (1975-1985), რექტორი (1985-91), საქართველოს პარლამენტის წევრი (1999-2004), ღირსების ორდენის კავალერი, ასზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის და მონოგრაფიების ავტორი, ღირსეული მკვლევარი და პატივცემული პედაგოგი, მოყვარული და მზრუნველი შვილი, მეუღლე, მამა, ბაბუა – **80 წლის გახდებოდა**. ცხადია, 80 წელი სოლიდური ასაკია; ეს ის ეტაპია, როდესაც შემოქმედი ადამიანი ცხოვრებისეული თუ პროფესიული გამოცდილების პრიზმაში გატარებულ სიბრძნეს გადასცემს მომავალს. ბატონი არჩილი ამ ასაკში კიდევ უფრო საინტერესო და საჭირო იქნებოდა საზოგადოებისთვის და სრულიად შეუცვლელი ჩვენთვის – მისი მოყვარული და მადლიერი მოსწავლეებისთვის. დარწმუნებული ვარ, ბატონი არჩილი და მე მასწავლებლის და მოსწავლის საქმიანი და ადამიანური ურთიერთობის მაგალითის მიმცემნი ვიქნებოდით გარშემომყოფთათვის, მაგრამ...

სამწუხაროა, რომ არ შემიძლია, ეს ყველაფერი მას ვუთხრა! ახლა უკვე შევბედავდი...

ირინე კვაჭაძე,
თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო
უნივერსიტეტის
ფიზიოლოგიის
დეპარტამენტის
ხელმძღვანელი,
პროფესორი, მედიცინის
მეცნიერებათა დოქტორი

კონფერენცია

პერინატოლოგიის აქტუალური პრობლემები

ახლახან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა, რომელიც პერინატოლოგიის აქტუალურ პრობლემებს მიეძღვნა.

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ **მეანობა-გინეკოლოგიის საერთაშორისო ფედერაცია, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია** და **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.**

კონფერენცია მისასალმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა **თენგიზ ასათიანმა**, რომელმაც მოკლედ ისაუბრა კონფერენციის ჩატარების მნიშვნელობაზე და საზოგადოებას საპატიო სტუმრები, დარგის აღიარებული წარმომადგენლები წარუდგინა სხვადასხვა ქვეყნიდან: პროფესორი **ალექსანდრე მაქაცარია** – რუსეთის მეან-გინეკოლოგთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, მოსკოვის სეჩენოვის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეან-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; პროფესორი **ჯან კარლო დი რენცო** – ორგანიზაციების: „FRCOG", „FACOG", „FIGO"-ს გენერალური მდივანი, პერუჯას უნივერსიტეტის მეან-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სანტა-მარიას საუნივერსიტეტო კლინიკის რეპროდუქციული და პერინატალური სამედიცინო ცენტრის დირექტორი (იტალია); პროფესორი **ფრანკ ჩერვენაკი** – საერთაშორისო საზოგადოების – „ახალშობილი როგორც პაციენტი" – დირექტორი, პერინატალური მედიცინის საერთაშორისო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ნიუ-იორკის დედათა და ახალშობილთა მედიცინის პრესვიტერიანული ჰოსპიტლის დირექტორი, კორნელის უნივერსიტეტის ვეილის სამედიცინო კოლეჯი (აშშ); ქ-ნი **ვიქტორია ბიწაძე** – მოსკოვის სეჩენოვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეან-გინეკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.

კონფერენციას ესწრებოდნენ **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე**, ქალბატონი **მარიამ ჯაში** და **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი**, ბატონი **ზურაბ ვადაჭკორია**, რომლებმაც მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს საზოგადოებას.

ქალბატონმა **მარიამ ჯაშმა** მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და მოკლედ შეეხო იმ ძირეულ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტასაც ჯანდაცვის სამინისტრო მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევს, მათ შორის – დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და ამ თვალსაზრისით უახლოეს პერიოდში გასატარებელ რეფორმებს, რაც, მნიშვნელოვანწილად, დაკავშირებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან. აღინიშნა, რომ მალე საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული იქნება სამეანო მომსახურებაც, რაც ამ კუთხით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, რომელმაც მოკლედ ისაუბრა უნივერსიტეტში ბოლო პერიოდში განხორციელებულ სიახლეებზე, რაც მიმართულია სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და სწავლების ევროპული სტანდარტების დამკვიდრებისკენ. კერძოდ, ყურადღება გაამახვილა პროექტზე, რომელიც ჯერ კიდევ გასული წლიდან ხორციელდება ჩვენს უნივერსიტეტში და ითვალისწინებს უცხოეთის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლების ლექციებს საბაზისო და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა სფეროში; მან, ასევე, ისაუბრა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია ჩვენს ფრანგ და ამერიკელ კოლეგებთან ერთად, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმებას, მათ პროფესიულ დახელოვნებას. რექტორმა მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებს, სტუმრებს და წარმატებები უსურვა კონფერენციის მონაწილეებს.

კონფერენციაზე წარმოდგენილმა თემებმა – **„პრიორიტეტი ქალებს და ბავშვებს _ ეთიკური პრინციპები"** (პროფესორი **ფრანკ ჩერვენაკი), „ნაადრევი მშობიარობა: რისკ-ფაქტორები, გამოვლენა, პროგესტერონის პროფილაქტიკური როლი"** (პროფესორი **ჯან კარლო დი რენცო); „გენეტიკური თრომბოფილიის, ანტიფოსფოლიპიდური ანტისხეულების და ჰიპეროსმოცისტინემიის როლი ორსულობის გართულებაში"** (პროფესორი **ალექსანდრე მაქაცარია), „ორსულობის მორეციდივე გართულებების პროფილაქტიკის ძირითადი პრინციპები"** (პროფესორი **ვიქტორია ბიწაძე),** – დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. დასასრულ, წარმოდგენილი საკითხების ირგვლივ გაიმართა დისკუსია.

ნატო ბოლქვაძე

ისტორიავიწყება

ეს ჩვენი ისტორიაა!

ღირსნი სიყვარულისა და მადლიერებისა

ისინი მხოლოდ ფიზიკურად აღარ არიან ჩვენ გვერდით...
... დარჩა მათი სახელები და საქმენნი კეთილნი – დიდი რუდუნებით და სულიერებით ნაგებ-ნასაზრდოები...

მონუმენტური აზროვნებით გამორჩეული ეს პიროვნებები თამამად მოიაზრებიან ყველა დროის ჩინებულ მედიკოსთა შორის...

ისინი ბევრნი არიან, დროის სხვადასხვა მონაკვეთში რომ ქმნიდნენ და სულს ჰბერავდნენ მედიცინის ამა თუ იმ დარგისა და მიმართულების განვითარებას, აღზევებას საქართველოში...

მათზე – სამედიცინო უნივერსიტეტის (ინსტიტუტის) ღირსეულ მეცნიერთა, პროფესორ-მასწავლებელთა მაგალითზე – იზრდებოდა ექიმთა და ფარმაცევტთა ათეულობით თაობები.

ამ ბრწყინვალე კლინიცისტთა, თეორეტიკოსთა და მეცნიერთა ხსოვნას სათუთად ინახავს ჩვენი და ათასობით კიდევ სხვათა მეხსიერება, მათ პატივს მიაგებენ ურიცხვი მოწაფენი...

სწორედ მათ გვინდა მივუძღვნათ ეს მცირე მოგონებანი, თორემ რა დალევს კეთილ, მადლიან სიტყვას მათ პროფესიონალიზმსა და ზნეკეთილობაზე, ასევე, გვსურს ვისაუბროთ ბევრი მათგანის, როგორც ჩვენთან, ასევე, საზოგადოებასთან დამოკიდებულების ლამაზი მაგალითების შესახებ, თუმც, ესეც ალბათ ზღვაში წვეთია მათი სიდიადის, სიქველის წარმოსაჩენად...

მოგვიტევოს მათმა ხსოვნამ, ვისი ხსენებაც ამჟამად ვერ შევძელით, ისინიც ხომ, არანაკლებ პატივდებულნი და გამოჩინებულნი, ღირსნი არიან ხალხის დიდი სიყვარულისა და მადლიერებისა...

ვლადიმერ ასათიანი



იშვიათი ტალანტის, ენციკლოპედიური განათლების მეცნიერი, სწორუპოვარი ლექტორი, საუცხოო პედაგოგი და ახალგაზრდების ბრწყინვალე აღმზრდელი, ბრძენი წინამძღვარი გახლდათ; მრავალმხრივი იყო მისი მეცნიერული და სამეცნიერო-ორგანიზაციული მოღვაწეობა. მან საქართველოში საფუძველი ჩაუყარა სამედიცინო-ბიოქიმიურ სამსახურს. მისმა გამოკვლევებმა ბიოქიმიურ ფარმაკოლოგიაში შესაძლებელი გახადა სამკურნალო საშუალებების მოქმედების ნატიფი მექანიზმების ახსნა; აკადემიკოს ვლადიმერ ასათიანის ლექციამოხსენებები ღრმა ცოდნის, ორატორული ხელოვნების და მჭევრმეტყველების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა და საზოგადოების ინტერესს იწვევდა. უთვალსაჩინოესი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, უდიდესი ერუდიციის, ფართო დიაპაზონის მქონე, უკეთილშობილესი პიროვნება, არაჩვეულებრივი მომხიბვლელობით, საოცარი გულისხმიერებით და დიდებული უბრალოებით გამოირჩეოდა.

ვახტანგ ალადაშვილი

დიდი ექიმი, ჭეშმარიტი კლინიცისტი, თავაზიანი, ამავე დროს, მკაცრი და მომთხოვნი გახლდათ. კლინიკური შემოვლისას საფუძვლიანად არჩევდა თითოეული ავადმყოფის ისტორიას, შეკითხვებს უსვამდა ექიმებს და სტუდენტებს. ცდილობდა ყოველგვარი სამედიცინო სიახლე განეხილა. თანადგომაც თავისებური იცოდა – შეამჩნევდა რა თანამშრომელს შეჭირვებას, მყის „წამალს გამოუძებნიდა" – აუცილებლად მოხსენების მომზადებას დააავალებდა, რითაც მისი პიროვნების მობილიზებას ახდენდა.

მამია კომახიძე



ქირურგიის ერთ-ერთმა მესვეურმა და მოამაგემ საქართველოში, დიდი გრიგოლ მუხაძის ღირსეულმა მოწაფემ და ტრადიციების გამგრძობმა, აკადემიკოსმა მამია კომახიძემ, მთელი სიცოცხლე ხალხისა და მამულის სამსახურს უძღვნა. დიდი კლინიცისტი ახალგაზრდა თაობას უშურველად გადასცემდა ცოდნასა და გამოცდილებას, განუმტკიცებდა არჩეული სპეციალობის სიყვარულს; იყო ნოვატორი ყოველი საქმისა და წამოწყებისა, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა. მოწაფეებთან მკაცრი, მაგრამ სამართლიანი გახლდათ, ამასთან, – მომთხოვნი, გულისხმიერი, საიმედო, ობიექტური, მათი ქომაგი და დამცველი, თანამედროვეობის არაერთი ღირსეული ექიმი-სპეციალისტის აღმზრდელი და დამკვალიანებელი გახლდათ.

შალვა თოიძე



თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება იყო, ლეგენდარული ნიკოლოზ კახიანის საუკეთესო მოწაფე. თვლიდა, რომ ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრა კლინიკური ქირურგიის ძირითად მორფოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს და უნდა ემსახურებოდეს კლინიკის ინტერესებს და დაკავშირებული უნდა იყოს პრაქტიკულ ქირურგიასთან. ფართე იყო მისი მეცნიერული ინტერესების სფერო. მან საქართველოში განავითარა და დახვეწა პროგრესული მოძღვრება ადამიანების ორგანოებისა და სისტემების ინდივიდუალური ცვალებადობის შესახებ; შეისწავლიდა სისხლძარღვებისა და პერიფერიული ნერვების ქირურგიულ ანატომიას, გულის ანგიოარქიტექტონიკას, ხორხისა და აბდომინალური ქირურგიის ურთულეს საკითხებს.

როგორც პიროვნება, მუდამ გაოცებდა უშუალობით, უმწიკვლობით, სათნოებით და ღრმად განსწავლულობით...

ირაკლი ფაღავა



სასაქადულო მამულიშვილი, რაფინირებული ინტელიგენტი, მკურნალი, მეცნიერი, მკვლევარი, უბადლო ორატორი და პედაგოგი იყო. მის პიროვნებაში ჰარმონიულად გახლდათ შერწყმული გვაროვნული და ინტელექტუალური არისტოკრატიის ღირსებანი, დახვეწილი გარეგნობა, ხასიათის განსაკუთრებულობა, ცხოვრების სტილი, ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, პროგრესისკენ სწრაფვა... სამშობლო და მისი მსახურება მხოლოდ საქმით სწამდა. გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, ბუნებით იყო ესთეტი და ხელოვანი; შეეძლო მოეჯადოებინა ნებისმიერი აუდიტორია, არა მარტო პიროვნული ხიბლით, არამედ – ორატორული ხელოვნებითაც. გახლდათ მეცნიერული პედიატრიის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

მიუხედავად დიდი ზეგავლენისა, ქართულმა პედიატრიულმა სკოლამ, ბატონი ირაკლის და მის თანამედროვეთა წყალობით, თვითმყობადობა და თავისთავადობა შეინარჩუნა.

დავით კვაჭაძე

დიდბუნებოვანი ადამიანი გახლდათ, ღირსეული პიროვნება, ბრწყინვალე მეცნიერ-ექსპერიმენტატორი, შესანიშნავი პედაგოგი...

მან სამედიცინო მეცნიერებათა ერთ-ერთი ფუძემდებლური დარგის – ფარმაკოლოგიის – რთულ გზაზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. მისი შინაგანი კულტურა, პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება, მამულიშვილობა, კაცთმოყვარეობა, ავკარგიანობა და თბილი იუმორი დაუვიწყარია მისი კოლეგებისთვის, მათთვის, ვინც, უბრალოდ, იცნობდა, პატივს სცემდა თუ თანამშრომლობდა მასთან.

ალექსი მინდაძე



დიდი ნევროლოგიური სკოლის აღზრდილი იყო. ექიმობასთან ერთად, ცხოვრებას ასწავლიდა და თავად ადამიანურობის, სიყვარულის, ერთგულების განსახიერება იყო. მიუხედავად წოდება-დამსახურებისა, სხვებზე მზრუნველობით გამოირჩეოდა, საოცრად უბრალო, მთელი ცხოვრებით კეთილშობილებასა და სისპეტაკეს განასახიერებდა. გულისხმიერი ექიმი, შესანიშნავი პედაგოგი, სასიქადულო მეცნიერი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, ნათელი, საოცრად სუფთა ადამიანი იყო.

ვასილ ბაბუხადია

წლების მანძილზე სამედიცინო ინსტიტუტის უროლოგიის კათედრის გამგე გახლდათ, საუკეთესო ექიმი, პედაგოგი, მეცნიერი და პიროვნება იყო. „თუ მიზნად დაისახე, იყო ანთებული სანთლის სადარი, შენი მოქმედების საფუძველს სინდისი უნდა წარმოადგენდეს. არ დაივიწყო, რომ შენი მოღვაწეობის იდეალი ჯანმრთელობისთვის ზრუნვაა, დანარჩენი კი, რასაც პირადული ჰქვია, უნდა დაუქვემდებარო მას. ასეთია ექიმობის ლოგიკა", – წერდა იგი. ბატონი ვასოს ცხოვრება და პროფესიული საქმიანობა საუკეთესო მაგალითია ქართველი მედიკოსებისთვის.

გივი ჟვანია



უამრავი კეთილი სიტყვის თქმა შეიძლება მასზე, როგორც პედიატრზე, თუმც ძნელია იყო კარგი ექიმი, თუ კარგი ადამიანი არ ხარ. მისი მისია სწორედ მადლის კეთება იყო ამქვეყნად – ბატონი გივის მიერ გადარჩენილი მრავალი ადამიანი დააბიჯებს დღეს ჩვენს შორის, კიდევ რამდენი ბედნიერი მშობელია, რომელთა პირმშოს ხსნა და შველა ღმერთმა ამ დიდებულ ექიმს დააკისრა... იგი ახსოვთ როგორც უშუალო, ადამიანური, მუდამ ღიმილიანი, იმედიანი, ასევე, იუმორით აღსავსე პიროვნება.

მარიამ გრიგალაშვილი

მკაცრი სახის იერი სრულ შეუსაბამობაში იყო ქალბატონი მარიამის ხასიათთან. საკმარისი იყო მისგან თქმული ერთი სიტყვაც, რომ მასში დაგენახათ საოცრად თბილი ადამიანი.

საქართველოში ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის, კერძოდ, ქირურგიული სტომატოლოგიის ფუძემდებელი, ღვაწლმოსილი ადამიანი, მენტორი, ადამიანის სამედიცინო და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის დიდოსტატი გახლდათ... ასევე – ქართველ სტომატოლოგთა სამი თაობის და 40-ზე მეტი ცვლის აღმზრდელი, საკუთარი ხელწერის მქონე სკოლის ჩამომყალიბებელი, მკვლევარ-ნოვატორი;

პატივისცემით, სითბოთი და ყურადღებით იყო გარემოცული... როგორც რესპექტაბელური პიროვნება, აღიარებული გახლდათ, არა მხოლოდ ექიმთა და ნაცნობთა შორის, არამედ მთელ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

ლიზიკო კელაპტრიშვილი

სილამაზესთან ერთად, ღმერთმა დიდი ნიჭი დაანათლა ექიმობისა და ხელოვნებისა. მისი პედაგოგიური და საექიმო მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია თანამედროვე და მომავალი თაობებისთვის. მთელი სიცოცხლე ბავშვთა ასაკის თერაპიულ სტომატოლოგიას დაუკავშირა, რასაც სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა.

ვიხსენებთ მას, როგორც ჩვენს გვერდით მყოფ მშვენიერებას, უდიდესი პასუხიმგებლობის და პედაგოგიური ალღოს მქონე უკეთილშობილეს პიროვნებას.

ავთანდილ გელაშვილი

ქართული პათოფიზიოლოგიური სკოლის საუკეთესო წარმომადგენელი, ეროვნული მედიცინის ისტორიის კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებელი; ბუნებამ სხვა მრავალი იშვიათი ღირსებითაც დააჯილდოვა – საინტერესო მოაზროვნე და ფაქიზი სულის პიროვნება თავის ნაფიქრ-ნააზრევს პოეზიით გამოხატავდა. მშვენიერი ლექსების ავტორი თავადაც პოეტური ბუნების გახლდათ. იყო კეთილი, მგრძნობიარე, ბრძენი... მას, როგორც არავის, ძალუძდა ეპოვა და მიეღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება რთულ სიტუაციაში.

მეცნიერი, პოეტი, ინტელიგენტი, აღმზრდელი, მამულიშვილი – იქნებ ბევრია ერთი პიროვნებისთვის, მაგრამ ვინც იცნობდა, ყველა უკლებლივ ამგვარად ახასიათებს და იხსენებს ბატონ ავთანდილს.

სერგო ხუნდაძე



ღრმად განათლებული, ერუდირებული ინტელიგენტი იყო, დიდი პატრიოტი სამედიცინო უნივერსიტეტისა, რომლის სახელთან დაკავშირებულია მისი სამეცნიერო, პედაგოგიური, პრაქტიკული მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი. ოქროს ფასი ჰქონდა ბატონი სერგოს მამაშვილურ რჩევა-დარიგებას და გამოცდილების გაზიარებას. უანგარო დამოკიდებულებით განირჩეოდა ადამიანებთან ურთიერთობისას, ყველასთვის სამაგალითო იყო, მუდამ შეჭირვებულთა თანამდგომი...

შესაძლებელია კაცმა ხანგრძლივი ცხოვრება განვლო, მაგრამ მსგავს პიროვნებასთან ურთიერთობის ბედნიერება წილად არა გხვდეს...

მერი გელოვანი

აღიარებული პედიატრი, მეცნიერი და მკვლევარი გახლდათ, პროფესორ ირაკლი რცხილაძის სამედიცინო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, მაღალსულიერებით, დახვეწილი ინტელექტუალობით ნიშანდებული. მისი ცხოვრებისეული პრინციპი მოყვასისთვის ბოლომდე გახარჯვა გახლდათ, საკუთარი ტკივილის დათმენას და სხვებისთვის სავალის შემსუბუქებას რომ ითხოვს წილად...

ტიპური საუნივერსიტეტო პროფესორი იყო – კლინიკა, სტუდენტები, ასპირანტები, მონაფეები, მეცნიერება... ამავე დროს – არაორდინარული, არაბანალური, ინდივიდუალური ხიბლის მქონე უმშვენიერესი ქალბატონი იყო...

მერი გელოვანის ერთ-ერთი პედაგოგიური სიახლე ის იყო, რომ ჩათვლებს მეექვსეკურსელები, სუბორდინატორები, ავადმყოფის საწოლთან აბარებდნენ – ამ დროს ყველაფერი ფასდებოდა – გასინჯვის ტექნიკაც, კომუნიკაციის ხარისხი, კლინიკური დასკვნის სისწორე...

უყვარდა გამოთქვა: „პედაგოგის ამოცანა ის კი არ არის, სტუდენტს დოქი შეუვსოს ცოდნით, ინფორმაციით, არამედ – აუნთოს შუქურა საკუთარი გზის მოსაძიებლად".

დავით ტვილდიანი

მისი თავდადებული შრომა და ნაყოფიერი ცხოვრება სამაგალითოა ყველასთვის – ღრმა ცოდნით, ერუდიციით და ადამიანური უბრალოებით, პატიოსნებით, გულმოწყალებით და სიკეთით.

შეუდარებელი იყო ავადმყოფებთან დამოკიდებულებით; შეეძლო უანგარო მეურვეობა გაეწია არა მარტო ახლობლებისთვის, არამედ – სრულიად უცნობი, შეჭირვებული ადამიანებისთვის.

დიდი პიროვნება, ბრწყინვალე ექიმი, პედაგოგი გახლდათ, დახვეწილი ინტელიგენტი, ძირძველი ქართული ტრადიციების ღირსეული დამცველი და ქომაგი...

ბაადურ რაჭველიშვილი

ქართული თერაპიული სკოლის უბადლო წარმომადგენელი გახლდათ; ადამიანური და პროფესიული თვისებებით, საქმით და სიტყვით, მოქალაქეობრივი პოზიციით წარუშლელი კვალი დატოვა შინაგანი მედიცინის ქართული სკოლის განვითარებაში და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა კიდეც მისი წარმატება და ავტორიტეტი.

პროფესორ ბაადურ რაჭველიშვილის კომპეტენტურობა, სისპეტაკე, ავკარგიანობა, ადამიანური სითბო ნამდვილად მისაბაძია თაობებისთვის, უამრავ პაციენტთა თუ სტუდენტებისთვის...

ნათელი დაუმკვიდროთ უფალმა მარადიულ სასუფეველში!

წარსულის ფურცლებიდან

მე-18 საუკუნე — ურთულესი ხანა საქართველოს ისტორიისა... სწორედ ამ პერიოდის ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ეძღვნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ბატონი **თეიმურაზ პეტრიაშვილის**, ქვემოთ წარმოდგენილი კვლევა, ისევე, როგორც მისი წიგნები — **„კრწანისს ნაბრძოლი ხმალი და ბატისფრთის კალამი იოანე ბატონიშვილისა"** და **„ყვარლის ბრძოლა"**, სადაც მკაფიოდაა წარმოჩენილი ხსენებული ეპოქის ურთულესი ისტორიული პერიპეტიები...

ღრმად განსწავლული მედიკოსი, სტუდენტთა საყვარელი ლექტორი და შესანიშნავი პიროვნება, ბატონი თეიმურაზი, ისტორიულ-დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, შესაშური მხატვრული ოსტატობით, დახვეწილი სამწერლობო ენით ცდილობს მკითხველს რეალური წარმოდგენა შეუქმნას იმჟამინდელი ეპოქის შესახებ. მისი შემოქმედების დამფასებელი მკითხველი კი ისევ და ისევ ელის ახალს მისი მდიდარი შემოქმედებითი ნაზრევიდან...

ამასთან, ჩვენი გაზეთის მკითხველთ მივმარავთ თხოვნით — გვაქვს სურვილი, გავუღვიძოთ რა ინტერესი — ნაფიქრ-ნაზრევის სააშკარაოზე გამოტანისა, მოგვაწოდონ მასალები საკუთარი შემოქმედებიდან, რითაც კიდევ ერთხელ მიეცემათ საუკეთესო შანსი ახალ ამპლუაში თავის წარმოჩენისა და სამედიცინო საზოგადოების წინაშე ღირსეულად წარდგენისა.

ერეკლე მეორის ავადმყოფობა, გარდაცვალება და დაკრძალვა

სულ ორიოდე წლის წინ, ერეკლე, უზანგში ფეხის გაუყრელად შეაფრინდებოდა ცხენს, ახლა კი სისუსტე შეეპარა, გრძნობდა, რომ უნაგირზე ამხედრებას ლოგინში წოლა ერჩივნა.

ამ დროს, თბილისსა და მის შემოგარენში შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა. ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა „მომსვრელმა სენმა". თბილისში გაჩერება საშიში იყო და სამეფო ოჯახი თელავში გადავიდა საცხოვრებლად. მეფე თელავიდან მართავდა ქვეყანას. ქართლიდან კახეთისკენ თავისუფალი გადაადგილება შეიზღუდა ეპიდემიის გავრცელების შიშით.

1797 წლის შემოდგომიდან ერეკლეს ჯანმრთელობა გაუარესდა. ფეხები უსივდებოდა. ამბობდნენ, წყალმანკი სჭირსო. მკურნალობის მიზნით, ლითონის პატარა ბასრი ხელსაწყოთი – ნეშტრით (რომელიც ასაცრელად და სისხლის გამოსაშვებად გამოიყენებოდა) შესივებული წვივის მიდამო დაისერა და სითხე გამოუშვა. ამით მდგომარეობა ოდნავ შეუმსუბუქდა, მაგრამ ფეხების დასივების მიზეზი ალბათ მაინც გულის უკმარისობა იყო და შესივებული ადგილებიდან სითხის გამოშვება მის ზოგად ჯანმრთელობას არას არგებდა.

ქათმის ბულიონი მიართვეს ექიმის რჩევით მეფეს, მაგრამ იუარა – ახლა მარხვაა, მე რომ მარხვა გავტეხო, ხალხი რას იტყვის, თავად როგორ მოიქცევაო.

გადიოდა დრო, ერეკლე სულიერად არ ტყდებოდა, მაგრამ მოუსვენარი და დაუდგრომელი ბუნების პიროვნება, მოძრაობას არ ერიდებოდა, ეს კი ართულებდა მდგომარეობას. 1798 წლის იანვრიდან კიდევ უფრო გაუარესდა მეფის ჯანმრთელობა. 5 იანვარს გულის მიდამოში უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა, გონებაც დაკარგა, რამოდენიმე საათი გაუნძრევლად იწვა, შემდეგ თვალები გაახილა, გონს მოვიდა, ახლობლებს გადახედა, ალბათ ფიქრობდა, ეს რა უდროო დროს გტოვებთ თქვენცა და მთელს ქვეყანასო.

11 იანვარს, ორშაბათს, გამთენიისას – ერეკლე აღარ მოძრაობდა, თვალგახელილი ერთ წერტილს მისჩერებოდა, თითქოს უხმოდ ლოცულობსო. მერე, ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ოთახს... „შემძიმდა ფრიად და განთიად, შუაღამიდგან მეშვიდესა ჟამსა", იმავე ოთახში, იმავე საწოლზე მიიბარა მისი სული უფალმა, სადაც ის 78 წლის წინ დაბადებულა.

დარეჯან დედოფლის კივილმა შესძრა სამეფო დარბაზი. მას აჰყვნენ ოჯახის წევრები.

მეფის ცხედარი მართლმადიდებლური წესით გააპატიოსნეს. ყველას აინტერესებდა და დღესაც აინტერესებთ, რამდენი ჭრილობა ჰქონდა სხეულზე მეფეს. გაუთავებელ ომებში ის ხომ თავად მიუძღოდა წინ მეომრებს და თავდაუზოგავად, პირველი ეკვეთებოდა მტერს, მაგრამ რამდენი და რა სახის ჭრილობა ჰქონდა მეფეს – ეს მათ საიდუმლოდ დარჩა, ვინც გააპატიოსნა მისი ცხედარი.

ზოგი ამბობდა, – ერეკლეს ტანზე ადგილი არ მოეძებებოდა ზედ რომ ნაჭრილობევი არ ჰქონოდაო,ზოგიც სიამაყით აღნიშნავდა – სიჩაუქის, სიმარჯვის, სიძლიერის, კარგი საომარი აღჭურვილობის წყალობით, მეფეს არცერთი ჭრილობა არ ჰქონიაო.

მეფის ცხედარი ორმაგად შეკრულ ხის კუბოში ჩაასვენეს. ყინულები ჩაულაგეს. კუბო ძვირფასი ხალიჩებით და შავი ხავერდით მორთულ, სასახლის დიდ დარბაზში დადგეს.

ქვეყანაში გლოვამ და უიმედობამ დაისადგურა. გლოვობდა ყველა – დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, თავადი თუ გლეხი. ქვეყნის სხვადასხვა ეროვნების და სარწმუნოების მცხოვრებნი ადათწესების მიხედვით დასტიროდნენ თავიანთი მომავლის იმედს.

დარეჯან დედოფლისა და კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის (ერეკლესა და დარეჯანის ვაჟი – ერისკაცობაში თეიმურაზი) დავალებით – გამოსვენების და დაკრძალვის ცერმონიალის გეგმის შედგენა თელავის სასულიერო სემინარიის რექტორს, დავით ალექსის ძე მესხიშვილს დაევალა.

კუბო ოც დღეს სამეფო სასახლის დიდ დარბაზში იდგა, შემდეგ სასახლის ახლოს, თავად ყორჩიბაშიშვილების კუთვნილ ტაძარში გადაასვენეს და საკურთხევლის წინ, ამბიონზე მოათავსეს.

სასახლის ეზოში მეფის ნივთების გამოსაფენ საგანგებოდ მოწყობილ, უძვირფასესი ხალიჩებით მორთულ ადგილზე განალაგეს მეფის ტანსაცმელი, სამკაულები, საბრძოლო იარაღი, აბჯარი, უნაგირები, ჯილდოები, საქართველოს სამი დახრილი დროშა...

მიწაზე მსხდომ მეჯინიბეებს აღვირით ეჭირათ ძვირფასად შეკაზმული გამორჩეული ცხენები მეფისა.

დარეჯან დედოფალი სტუმრების მისაღებად სასახლის დიდ დარბაზში გამოდიოდა და მისთვის საგანგებოდ მოწყობილ, ხალიჩებით მორთულ ადგილზე ჯდებოდა. გარშემო საპატიო სტუმრები იყვნენ. ორივე მხარეს ისხდნენ ასაკის მიხედვით განლაგებული ბატონიშვილები, შემდეგ სამღვდელოება და წარჩინებული თავადაზნაურობა ჩამწკრივებულიყო. დარეჯანი და თეთრი ტანსაცმლით მოსილი სეფექალები ტირილითა და სახის ხოკვით ხვდებოდნენ სტუმრებს. სასახლის ოთახების კედლები შიგნიდან და გარედან შავ ნარმას დაეფარა. სამგლოვიარო დარბაზსა და სასახლის შესასვლელში მდგარ კარისკაცებს გადატეხილი კვერთხები ეჭირათ. დარბაზში ქუდმოუხდელი არავინ შედიოდა, არც ფერ-უმარილი ჰქონდათ ქალებს წასმული.

სასახლის ეზოში მოთქმით შემოვიდა ზემო ქართლის ყოფილი სარდალი, 80 წელს გადაცილებული თავადი ციციშვილი, რომელიც მეფეს თითქმის ყველა ბრძოლაში ახლდა. იგი ერეკლეს ცხენის უნაგირს გადაეხვია და მწარედ აქვითინდა. წრფელი გულით მისტიროდა ბატონსა და მეგობარს.

უამრავმა ადამიანმა დაიტირა მეფის ცხედარი, მაგრამ განსაკუთრებით შესძრა ჭირისუფალნი ქიზიყელი გლეხი ქვრივი ქალის მოთქმამ.

სოლომონ ლიონიძის სამგლოვიარო სიტყვა ისტორიას შემორჩა როგორც ნიმუში ქვეყნისთვის თავდადებული მეფის ღვაწლის ობიექტურად შეფასებისა. შემზარავი იყო არაგველთა ტირილი.

რუსეთიდან ჩამოვიდა ერეკლეს ერთ-ერთი ვაჟიც – მირიანი, რომელსაც იქ გენერლის ჩინი ჰქონდა მიღებული. პეტერბურგიდან ევროპულად განსწავლული „ექიმი გორთციური მოჰყვანდა თან", მაგრამ მამას, სამწუხაროდ, ცოცხალს ვეღარ ჩამოუსწრო.

თელავისკენ მიმავალ გზაზე, ორივე მხარეს იდგა მგლოვიარე ხალხი. მირიანი ცხენიდან ჩამოხდა და სასახლისკენ ფეხით გაემართა. ბატონიშვილი ბუნდოვნად ამჩნევდა, მის დანახვაზე როგორ ეცემოდნენ მუხლზე შავით მოსილი ადამიანები, რომლებიც გამწარებით შესტიროდნენ: – ვინღა გვიპატრონებს ობოლთ, გაჭირვებულთ, ღატაკთ და სნეულთ, ვინ განდევნის შემოსეულ მტერს, ვინ გაარჩევს ჩვენს ტყუილსა და მართალს, დავკარგეთ საქართველოს იმედი.

მირიანი სასახლის ეზოში შეჩერდა, თვალცრემლიანმა გახედა სასახლეს, მერე მამის ცხენებთან მივიდა და მათ წინ მუხლზე დაიჩოქა. ცხენები გულშემზარავად აჭიხვინდნენ, ფლოქვების ცემით აამტვერეს მიწა. დარეჯანი ტირილით გადაეხვია 14 წლის უნახავ შვილს.

სამეფო ოჯახი რამდენიმე ათეულ დღეს ელოდა შავი ჭირის ეპიდემიის ჩაცხრომას, რათა დაკრძალვის ცერემონიალი, თბილისშიც და მცხეთაშიც, წინასწარი გეგმით განსაზღვრული სათანადო პატივისცემით ჩატარებულიყო. მიუხედავად ზამთრის ცივი დღეებისა და კუბოში ყინულების ჩალაგებისა, იყო ცხედარის გაფუჭების საშიშროებაც.

დრო კი აღარ ითმენდა, არც ეპიდემია იკლებდა და ბოლოს ტახტის მემკვიდრე – გიორგისთან შეთანხმებით გადაწყდა, მეფის ცხედარი, გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს პირდაპირ მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში დაეკრძალათ.

გამოსვენების დღეს უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი ეკლესიის გარშემო, რომელშიც მეფის კუბო იდგა. თელავში და თელავიდან გასასვლელ გზაზე ხალხის ტევა არ იყო.

თუმცა, არ უნდა იყოს მართალი რუსი ისტორიკოსის ცნობა, რომ ერეკლეს ცხედარს ოცი ათასი შეიარაღებული მებრძოლი მიაცილებდაო. 20 000 მებრძოლის შეკრება იმ დროს ქართლ-კახეთში შეუძლებელი იყო, მით უმეტეს, რომ ქართლიდან კახეთში გადასვლა აიკრძალა. ეს ამბავი ქართველთა დასამცირებლად უნდა იყოს მოგონილი! აი, რა ხალხია ქართველები, ომში 3 ათასიც არ მიეხმარა მეფეს, დაკრძალვაზე კი 20 000 შეიარაღებული მოვიდაო. ასეთი ხერხებით, იმპერია ხშირად ცდილობდა ქართველთა დამცირებას. ამას ზოგჯერ ჩვენც ვიმეორებთ, და საკუთარ თავს ვამცირებთ.

პროცესიის წინა რიგებში ცხენოსანი და ქვეითი ჯარი განლაგდა ორი ზარბაზნითურთ.

ორმოცდღიანი ტირილი, სამგლოვიარო წირვა-ლოცვა და გალობა დროებით შეწყდა. ზარბაზნების ბათქმა და თოფების სროლამ ხალხს აუწყა, რომ ერეკლეს ცხედარს უკვე მიასვენებდნენ მცხეთაში. ატყდა ზარების სულისშემძვრელი რეკვა.

პროცესია დაიძრა, სავარაუდოდ, თბილისისკენ გომბორის გზით მიდიოდნენ. კუბო ხელით მიჰქონდათ. ერეკლეს კუბოს ხელით ტარება დიდი პატივი იყო ყველა ქართველისთვის. გზისპირა სოფლებში გამოფენილი ხალხი ხმამაღალი ტირილით ბოლო გზაზე აცილებდა თავის მეფეს.

წინასწარი გეგმით, დაკრძალვა, დიდი პომპეზურობით იყო გათვალისწინებული, მაგრამ, როგორც პლატონ იოსელიანი წერს, შავი ჭირის ეპიდემიის გამო, „მცირედითა კაცითა და არა დღესასწაულებით, გარდაიტანეს გვამი მეფისა მცხეთასა დასასაფლავებლად".

თელავიდან წამოსული, ერთობ შეთხელებული პროცესია თბილისს მესამე დღეს მოუახლოვდა. მახათას მთის ძირას შეჩერდნენ. შემდეგ ავჭალისკენ დაიძრნენ, სვეტიცხოვლის პირდაპირ მიადგნენ არაგვს და კუბო მცხეთის გამოღმა, მდინარის მარცხენა ნაპირთან დაასვენეს. არაგვის მეორე მხარეს მცხეთელები იდგნენ. პროცესიის მოსვლისთანავე მათ ფეხით გადმოვლეს მდინარე, რათა ძვირფასი ნეშტი გადაებარებინათ.

კახეთიდან მოსულებმა კიდევ ერთხელ დაასველეს ცრემლით მეფის ცხედარი და უკან გაბრუნდნენ. შავი ჭირის გადადების შიშით ვერც კი შეეგებენ ერთმანეთს.

მცხეთელები მიუახლოვდნენ, მოწიწებით თაყვანი სცეს მეფეს, ცრემლიანი თვალებით დაიჩოქეს კუბოსთან, შემდეგ კუბო ასწიეს და ისე ფრთხილად გადაატარეს არაგვზე, თითქოს ცდილობდნენ, არ გაეღვიძებინათ მხცოვანი, ხალხზე ფიქრით გადაღლილი მძინარე მეფე.

კუბო სვეტიცხოვლის კარიბჭესთან მიიტანეს და იქ შემოგებებულ ბერებს გადააბარეს.

თელავიდან წამოსული ჭირისუფალნი, მათ შორის, ოჯახის წევრებიც, არავინ მიჰყოლია მცხეთაში ერეკლეს ცხედარს, გარდა სამეფო კარის მღვდელ ქრისტეფორესი. შავი ჭირით დაავადების შიშით ვერავინ ეკარებოდა სვეტიცხოვლის მიდამოებს, რადგან სვეტიცხოვლის ეზო და თვით ტაძარი სავსე იყო ავადმყოფებით. ზოგი მათგანი ცოცხლად გადარჩენის იმედით, ზოგი კი გარდაუვალი სიკვდილის მოლოდინში, ღვთის სახლს იყვნენ შეფარებულნი და მის განაჩენს ელოდნენ.

ქრისტეფორე კეჟერაშვილი-ბადრიძე იყო ის მოძღვარი, ვინც მეფის ოჯახს აღუთქვა, რომ საკუთარი სიცოცხლის განსაცდელში ჩაგდების ფასად, აღასრულებდა ყველა ქრისტიანულ წესს და საკადრისად დაკრძალავდა მეფეს. ქვეყნისა და მეფის ერთგულმა მოძღვარმა, რომელსაც კიდევ სხვა მრავალი კარგი საქმე ჰქონდა ერისთვის გაკეთებული, ახლაც პირნათლად მოიხადა თავისი ვალი – „თავი გამოიმეტა", "საფლავს მიუდგა და ემსახურა", მცირე აღაპიც გადაიხადა.

1798 წ. 21 თებერვალს, კვირას, სვეტიცხოვლის ტაძარში მიწას მიებარა კიდევ ერთი ქართველი მეფე, ღირსეული წარმომადგენელი ბაგრატიონთა გვარისა. დაასაფლავეს „მუნ, მარჯვენით კერძო შინაგან დიდისა მის ეკლესიისა, ქვემორე პირისპირ ხატისა მაცხოვრისა, მეუფისა ქრისტე მხსნელისა ჩვენისა".

სიტყვები დარჩენილი სიტყვებად...

ვინმეს ნიშნის მოსაგებად არ გამომიტანია სამზეოზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტრიბუნიდან ამა ქვეყნის ძლიერთა მიერ წარმოთქმული დაპირებები ამ უმაღლესი სასწავლებლის აღორძინებისა და კეთილდღეობისთვის. ასევე, ნურავინ მიიღებს მინიშნებად – ასეთი რამ თქვენც არ მოგივიდეთო! – ღმერთმა არ ინებოს... მხოლოდ გვინდა, რომ არავინ გვატყუოს!

სიტყვა მტკიცია განმსაზღვრელი ადამიანის მეობისა. დარწმუნებული ვართ, მსგავსი რამ ახლა არ გვემუქრება... ახალი ხელისუფლების გულწრფელობა სახეზეა... ჩვენ ვირჩევთ მწარე სიმართლეს ტკბილი ტყუილის ნაცვლად!..

ამ წერილით საჭიროდ ჩავთვალეთ შეგვეხსენებინა ჩვენი მკითხველისთვის წინა ხელისუფლების მიერ ქარიზმატულად წარმოთქმული დაპირებები, რაც მხოლოდ ჩვენი გაზეთის ფურცლებს შემორჩა...

*ამასთანავე, პარალელურად ვაქვეყნებთ ინტერვიუს თსსუ-ის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის, ანუ რესპუბლიკური საავადმყოფოს გენერალურ დირექტორთან, ბატონ **ავთანდილ იმედაძესთან**, რომლის სიტყვა ყოველთვის საქმედ ქცეულა და მწამს, რომ ასე იქნება ყოველთვის...*

* * *

თსსუ-ის ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ კლინიკაში (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო) გამართულ სარეკონსტრუქციო სამუშაოებისადმი მიძღვნილ პრეზენტაციაზე:

„ეს კლინიკა, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, უნდა ვაქციოთ თანამედროვე ევროპული დონის კლინიკად. პირადად ყველაფერს გავაკეთებ ამ საავადმყოფოს ასაღორძინებლად, დღევანდელი დღეც ამის წინაპირობაა. დადგა დრო და მზად ვართ იმისთვის, რომ დავიწყოთ საავადმყოფოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ასევე, მისი შენობის მთლიანი რეკონსტრუქცია".

ლადო ჭიპაშვილი,
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი,
2006 წლის 8 ივნისი

* * *

საქართველოს პრეზიდენტის **მიხეილ სააკაშვილის** შეხვედრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან:

„სიამაყით მინდა ვთქვა, რომ ახლახან, ჩემი მოწვევით ამერიკიდან დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის თსსუ-ის კლინიკას სახელოვანი ბაბუის გზის გამგრძელებელი, პროფესორი ნიკოლოზ ყიფშიძე. მერწმუნეთ, ხალხო, სულ რაღაც ორიოდ წელში ეს კლინიკა, მთელ ამიერკავკასიაში, გახდება ყველაზე თანამედროვე, ყველაზე მძლავრი კლინიკა".

მიხეილ სააკაშვილი,
საქართველოს პრეზიდენტი,
2006 წლის მაისი

* * *

"ეს კლინიკა თავისი შინაარსით, დანიშნულებით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით, გნებავთ – მაღალკვალიფიციური კადრებით, მართლაც გახდება მოთავე კლინიკა აღმოსავლეთ ევროპაში. გამომდინარე აქედან, ადრინდელთან შედარებით, პასუხისმგებლობაც საგრძნობლად გაიზრდება თითოეული მომსახურე პერსონალის მიმართ. ჩემი მიზანია ორ წელწადში ავაღორძინო კლინიკა, რა თქმა უნდა, ხელისუფლების დახმარების იმედიც მაქვს. თუ ეს არ მოხდა, მაშინ გპირდებით, დავტოვებ თანამდებობას და ისევ ამერიკაში დავბრუნდები. ამასთანავე, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ კლინიკაში ყველა პირობას შევუქმნი თსსუ-ის სტუდენტებს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შესაძენად. ჩემთვის უცხო არ არის, რომ ჩვენი სტუდენტებისთვის პრაქტიკული მომზადება თითქმის მიუწვდომელია, რაც სავალალოა. რექტორთან ერთად ვიზრუნებ, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ახლებური სწავლისა".

ნიკოლოზ ყიფშიძე,
აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობისი თსსუ-ის ცენტრალური კლინიკის გენერალური დირექტორი,
2006 წლის სექტემბერი

* * *

თსსუ-ის ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის (ემერჯენსის) საზეიმო ვითარებაში (საჩვენებლად მხოლოდ შესასვლელის ნაწილი იყო შეღებილი და იქვე იდგა ერთი ძვირადღირებული, თანამედროვე აპარატურა, დანარჩენ ნაწილში შესვლაც შეუძლებელი იყო სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო) გახსნის დღეს:

"ჩვენ ხალხს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კლინიკები ექნება. საუკეთესო სამედიცინო დაწესებულებები ჩადგება მწყობრში. ესაა დიდი აღორძინების დასაწყისი..."

მიხეილ სააკაშვილი,
საქართველოს პრეზიდენტი,
2007 წლის 21 მაისი

* * *

„რაც შეეხება სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის კლინიკურ ბაზას, არ დაგავიწყდეთ, რომ

რესპუბლიკური საავადმყოფო: „ნაშთი ძველი დიდებისა"

ყოფილ რესპუბლიკურ საავადმყოფოს ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა ჰქვია, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ძალიან მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები. გარდა ამისა, ვაწარმოებთ მოლაპარაკებას სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, რომ გაკეთდეს მცირე ზომის სასწავლო კლინიკური ცენტრი უშუალოდ სამედიცინო უნივერსიტეტის კამპუსში, ანუ ტერიტორიაზე. ამასთანავე, მოგახსენებთ, რომ 240 ათასი ლარია გამოყოფილი სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის პროექტის შესადგენად და, ჩემი აზრით, მიმდინარე წლის ბოლოს დაიწყება მისი მშენებლობა, ისიც გაკეთდება კამპუსში 400 ადგილზე და იცხოვრებენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტები".

კახა ლომაია,
საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრი,
2007 წლის მაისი

ინტერვიუ სტანდარტის გარეშე

სამედიცინო დაწესებულებების „დედასახლი" და მისი ხელმძღვანელი...

„რესპუბლიკური საავადმყოფოს აღორძინება სამედიცინო სფეროს აღორძინების ტოლფასია"...

რესპუბლიკური საავადმყოფოს, ანუ ამჟამად წოდებული ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური სიუნივერსიტეტო კლინიკის ხვალინდელ დღეზე სასუბროდ ვეწვიე კლინიკის ახალ გენერალურ დირექტორს, ბატონ **ავთანდილ იმედაძეს**. უჩვეულოდ აფორიაქებული ჩანდა... მიზეზი სწორედ "ამ ხვალინდელ დღესთან" დაკავშირებული პრობლემები გახლდათ...

ანაზდად გამახსენდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (მაშინ ინსტიტუტში), სტუდენტთა პროფკავშირული ორგანიზაციის გათავისუფლებულ ხელმძღვანელად ყოფნის დროს, ბატონი ავთოსთვის სტუდენტებისგან მინიჭებული ეპითეტი – **„მოარული სიკეთე"**. ჭეშმარიტადაც, რადგან იგი ქომაგობდა, ეხმარებოდა ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსულ სტუდენტებს და არა მარტო მათ... მაშინ ავთოზე ბევრს ვწერდით... მას შემდეგ მრავალმა წელმა ჩაიარა, ამიტომაც, ძვირფასო მკითხველო, სანამ მასთან სტუმრობის ძირითად მიზეზზე გადავიდოდე, მინდა მოგითხროთ ამ „მოარული სიკეთის" მიერ განვლილი ცხოვრების გზაზე, რადგან იგი უჩვეულოა და ნამდვილად არ არის ია-ვარდით მოფენილი...

ქუთაისელ ჭაბუკს ექიმობა ეწადა, სურვილი აიხდინა და სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ეს მაშინ იოლი როდი იყო... დიდი იყო სიხარული გულისწადილის ასრულების გამო... ჩვენ თვალწინ გაიარა მისმა სტუდენტურმა წლებმა... იგი, თავისი ქარიზმატული, ორგანიზატორული და აკადემიური წარმატებებით, ერთ-ერთი გამორჩეული სტუდენტი გახლდათ, ამიტომაც არჩეული იქნა ჯერ სტუდენტთა გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარედ,

შემდგომში

– დიდი სამეცნიერო საბჭოს, რექტორატის და საქართველოს მედიკოსთა პრეზიდიუმის წევრად. ავთო სამედიცინო ინსტიტუტის ყოველდღიური აქტიური ცხოვრების შუაგულში იდგა... იგი ყველგან იყო – სტუდენტურ შრომით სემესტრში, კულტურულ და სხვა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობაში, კონფლიქტურ რეგიონებშიც... სწორედ ამის გამო ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ვერ შეელია ავთოს და ნაცვლად იმისა, რომ ინსტიტუტის დასრულების შემდეგ, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც ყველა კურსდამთავრებული, ისიც რაიონში გაემწესებინათ, სამედიცინო ინსტიტუტის უროლოგიის კათედრის ლაბორანტად დანიშნეს. ეს მაშინ იყო უპრეცენდენტო შემთხვევა, რადგან ამ პერიოდის არცერთი კურსდამთავრებული კლინიკაში სამუშაოდ არ დაუტოვებიათ.

ავთოს, სტუდენტურ ორომტრიალში მყოფს, ეწვია სიყვარული. მისი გული პედიატრიული ფაკულტეტის სტუდენტმა, უმშვენიერესმა **მარინა გუბელაძემ** დაიპყრო. 1983 წელს მარინა და ავთო დაქორწინდნენ. თითქოს ყველაფერი ჰქონდა ბედნიერებისთვის ახალგაზრდა წყვილს. აქტიურ ცხოვრებაში მარი გვერდზე ედგა წარმატებულ მეუღლეს... მათი სიხარული გაათკეცა ქალიშვილის, **თეას,** მოვლინებამ. 3 წლისა და 6 თვის თეას მალე დაიკოც უნდა ჰყოლოდა, მუცლადყოფნისას შეარქვეს **გვანცა** მშობლებმა მეორე ქა-

→ *მე-6 გვ.-ზე*

სამედიცინო გაზეთი

ინტერვიუ სტანლოტის გუნებაში

მე-5 გვერდიდან ←

ლიშვილს... სწორედ ამ დროს დაუტრიალდათ ბედნიერი ცხოვრების ჩარხი უკუღმა მარის და ავთოს... წყალტუბოში, მარის მშობლების სახლში საკუთარი ავტომანქანით მიმავალ ავთოს, მეუღლე გვერდით ეჯდა, უკანა სალონში მყოფი თეა მშობლებს ეტიკეტიკებოდა... მოულოდნელად ჩიხიდან სწრაფად გამოქროლილი ავტომანქანა მარის მხარეს შეასკდა... ეს 1990 წლის 2 ივნისის საბედისწერო დღეს მოხდა... მარინა სწრაფად გადაიყვანეს სამშობიარო სახლში, სადაც მისი დედა ექიმ-თერაპევტად მუშაობდა ... თავგადადებული მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლეს მარისა და გვანცას გადარჩენა...

ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა სულშემაძრწუნებელი სურათი – სასახლეში ჩასვენებული ულამაზესი, 26 წლის ქალბატონი, გულში ჩახუტებული პატარა ჩვილით და მათ ცხედარზე დამხობილი, ქადაგად ქცეული ავთო... პროცესიას ბოლო არ უჩანდა... იმ უკანასკნელ დღეს ავთოს მიერ მარის საფლავზე დადებულმა ფიცმა: **„გპირდები, შვილს გაგიზრდი და შენს ადგილს ჩემში არავინ დაიკავებს"**, დაზაფრა ყველა, მაგრამ მაშინ ცოტას თუ სჯეროდა ამის, დღეს ყველა დარწმუნებულია, რადგან ეს ფიცი გაუტეხელი აღმოჩნდა... ავთომ სახელოვნად აღზარდა თეა, თვითონ ცალუღელად დარჩა...

არ მინდოდა ავთოსთვის იარა გამეხსნა, თუმცა დღემდე არ მოშუშებია იგი, მაგრამ თავად ისურვა ეთქვა ამ ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე მარისთან გამართული წინასწარმეტყველური საუბრის შესახებ: **"მაშინ დიდი არეულობა იყო სამაჩაბლოში. ხშირად მიწევდა ადგილზე ამ პროცესებში ჩართვა. მოსალოდნელი იყო ჩემს სიცოცხლეს საფრთხე დამუქრებოდა, ამიტომაც გადავწყვიტე ამისთვის წინასწარ შემემზადებინა მეუღლე. ვუთხარი _ მარი, მალე მეორე შვილის დედაც გახდები, შესაძლებელია რამე მომივიდეს, არ შეგეშინდეს თუ ორ შვილთან მარტო აღმოჩნდი-მეთქი. შეცბა, მიპასუხა: მაგის იმედი ნუ გექნება, უშენოდ ერთ დღესაც ვერ ვიცოცხლებ, თუმცა პირიქით რომ მოხდეს, შენ ალბათ მეორე დღეს მოიყვან ცოლსო".** სავალალოდ, მარის წინასწარმეტყველება ნაწილობრივ ახდა... "მეორე დღე" კი არ დადგა... ავთოსთვის იგი ერთადერთი აღმოჩნდა...

ავთომ სათაყვანებელი მეუღლის უკვდავყოფას ძეგლი აუგო სახელოვანი ქალიშვილის აღზრდით, ფიცის გაუტეხლობით, ცხოვრება გააგრძელა თეასთვის, მარის სახელის დიდებისთვის... ახალგაზრდა მამამ არავის დაუთმო 3 წლის და 6 თვის თეა გასაზრდელად. ავთოს მამა ინსულტიანი იყო და დედა ვერ გამოყვებოდა სვეგამწარებულ შვილს თბილისში. თითქოს ღმერთიც გამოცდას უწყობდა უდედოდ დარჩენილ შვილთან მარტოდმყოფ მამას... მეტად მძიმე პერიოდი დაემთხვა თეას ბავშვობის წლებს _ უგაზობა, უშუქობა, უპურობა, მაგრამ ავთო არ შეუშინდა, თუმცა არსთაგამრიგემ ბოლომდე არ გასწირა, მეგობრები შეაგება მშველელად. იგონებს თუ როგორ ეხმარებოდნენ თეას გაზრდაში **დათო კუპრაშვილი, რამაზ აღლუმაშვილი, გიორგი მენთეშაშვილი**. ბიჭებმა მორიგეობა დააწესეს საბავშვო ბაღიდან თეას გამოსაყვანად, ეხმარებოდნენ ბავშვის დაბანვაში, რაც ერთ-ერთი რთული პროცესი იყო. ავთომ თეა სამედიცინო ინსტიტუტის მედქალაქის საბავშვო ბაღში მიიყვანა, იმ ბაღში, რომელიც თავად გახსნა სპეციალურად სტუდენტი დედებისთვის, მათთვის რომ მეტად ხელსაყრელი ყოფილიყო ბავშვის მიყვანისა და გამოყვანის გრაფიკი, ანუ ეს ხდებოდა იმის მიხედვით, ვის რომელ საათზე და რამდენ ხანს სჭირდებოდა ბაღში შვილის ყოფნა, ეს მეთოდიც ავთომ შემოიღო... მაშინ მისთვის წარმოდგენაც შეუძლებელი იყო, რომ ამ ბაღის აღსაზრდელი თავისი, დედით ობოლი, შვილი იქნებოდა... ასევე, ბატონი ავთო დიდ მადლიერებას გამოხატავს მარის დაქალების, განსაკუთრებით **ქეთევან ჩიქოვანისა** და მისი ოჯახის მიმართ, რომელთანაც ძალიან ხშირად უხდებოდა თეას დატოვება... თეა ბასტი-ბუბუს აღსაზრდელთა პირველი თაობის წარმომადგენელია... მამის მეხსიერებას ბევრი რამ შემორჩა თეას პატარაობიდან, მაგრამ ერთმა მისმა ნათქვამმა დაანახა თუ რამდენ საწუხარს ინახავდა პატარა გოგონა: ერთხელ თეა ძალიან გაჯიუტებია მამას: – **„ვერაფერი მოვუხერხე, რა არ ვცადე, – ამბობს ბატონი ავთო, რატომღაც მაშინ დაწყნარდა, როცა დავიწყე თვეების ჩამოთვლა იმის მიხედვით თუ ვინ რომელ თვეში ვიყავით დაბადებული. დაინტერესდა რომელ თვეში იყო დაბადებული მისი ბებია (დედის დედა, დ.გ.), პასუხს არც დაელოდა და თხოვნანარევი ტონით მითხრა: – არ შეიძლება ლამარა (ბებიის სახელი, დ.გ.) ხელახლა დაიბადოს და ჩემი დედიკო ისევ გააჩინოსო?.."** თუ ავთო იღბლიანი არ გამოდგა საყვარელ მიეღლესთან თანაცხოვრებაში, როგორც მშობელი, ნამდვილად ბედნიერია, გარჯა დაუფასდა... თეა, გარეგნულად თვალშისაცემი და შარმიანი გოგონა, წარმატებულია თავის მრავალმხრივ საქმიანობაში: დაამთავრა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სტუდენტობისას იყო საიას წევრი, შემდგომ – განათლების სამინისტროს მთავარი სპეციალისტი, 24 წლის ასაკში – ჯავახიშვილის უნივერსიტეტში თავისივე შექმნილი საგამოცდო ცენტრის დირექტორი. თეამ ავსტრიაში, ვენის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაამთავრა მაგისტრატურა, მედიაციის განხრით სტაჟირება გაიარა აშშ-ში. იყო საქართველოს მთავრობის აპარატის უფროსის მოადგილე. სწორედ ამან განაპირობა მისი არჩევანი მომავალ მეუღლეზე. თეა და მისი უფროსი დაქორწინდნენ. ახლა ორივე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ლექტორები არიან, მალე, სექტემბერში, მშობლებიც გახდებიან, ბატონი ავთო კი – ახალგაზრდა ბაბუა...

რვასართულიანი საავადმყოფოს პროექტი

პროფესორ ავთო იმედაძის პროფესიული საქმიანობის ძირითადი მონაკვეთი რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან არის შერწყმული, თუ არ ჩავთვლით იმ მცირე პერიოდს, როცა იგი, აღნიშნული საავადმყოფოს რეორგანიზაციის შედეგად (2007 წელი), გადავიდა თავისივე ჩამოყალიბებულ კერძო კლინიკაში და ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალში უროლოგიის სამსახურის უფროსად. მცირე დროით იმუშავა ღუდუშაურის კლინიკაში უროლოგიური დეპარტამენტის უფროსად. შემდეგ არჩეულ იქნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უროლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორად და კვლავ რესპუბლიკური საავადმყოფო, გენერალური დირექტორის მოადგილეობა, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ინიშნება გენერალური დირექტორის თანამდებობაზე.

– რა ელოდება გაპარტახებულ რესპუბლიკურ საავადმყოფოს? – ეს საჭირბოროტო კითხვა მაწუხებს არა მარტო მე, არამედ მრავალრიცხოვან არმიას ადამიანებისა. ამ შეკითხვაზე პასუხი ვერ მივიღე თქვენი წინამორბედი ხელმძღვანელისგან, ბატონ ნიკოლოზ ყიფშიძესგან, რადგან არ ისურვა... არადა 2006 წლის მაისში, ჩემთან ინტერვიუში, მან განაცხადა, რომ ეს იქნებოდა მრავალპროფილური კლინიკა საუკეთესო ექიმი კადრებით დაკომპლექტებული, თანამედროვე ევროპული ტექნიკით აღჭურვილი, სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზა სტუდენტთა პრაქტიკული ცოდნის დასაუფლებლად, – ასე ვიწყებ საუბარსა და შეკითხვას ბატონ ავთანდილ იმედაძესთან...

– დავიწყებ იქედან, რომ 2011 წლის 4 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით (არა ტენდერით, არა აუქციონით), 6 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარებში, ჩვენი საავადმყოფო საკუთრებაში უნდა გადასცემოდა "Interhealth Canada (Georgia) Limited"-ს, როცა ამ ღირებულების, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ შეძენილი, სამედიცინო აპარატურა გვაქვს, ისიც რამდენიმე, სხვადასხვა დანიშნულების. მოლაპარაკება არჩევნების წინა პერიოდში მიმდინარეობდა. რომ არა ხელისუფლებისთვის არჩევნების მოულოდნელი შედეგი, კლინიკა უკვე სხვის ხელში იქნებოდა. ასე გადაურჩა ჩვენი ქვეყნის სტაციონარების გული და ერთადერთი ყოფილი მძლავრი საავადმყოფო გასხვისებას.

– ე. ი. არის იმედი იმისა, რომ რესპუბლიკური საავადმყოფო ისევ ხალხს დაუბრუნდება?

– რა თქმა უნდა, რეალური იმედი სახეზეა, რაზეც მოგახსენებთ. მართალია, კლინიკას სასხვადასხვა ორგანიზაციის 3 მილიონი, მილიონნახევარი კი სახელფასო დავალიანება ჰქონდა, რაც ნამდვილად კოლოსალური თანხაა ჩვენნაირი დაწესებულებისთვის, მაგრამ 1 იანვრამდე თითქმის მთლიანად გავისტუმრეთ სახელფასო დავალიანება, 900 000 ლარით შევამცირეთ სხვა ვალი, რაც, ამ მცირე დროის მანძილზე, ნამდვილად მიღწევაა. რაც შეეხება იმედს, იმაში მდგომარეობს, რომ უკვე დავიწყეთ ძველი საავადმყოფოს ძირითადი ნაწილის – I, II, III სართულების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ახლახან გაიხსნა რადიოიზოტოპური განყოფილება, რომლის აღსაჭურვად ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ჯერ კიდევ 2007 წელს, მილიონიანი ინვესტიციით, შეძენილი აქვს გამა-კამერა კომპიუტერით, რომლის ანალოგი ამიერკავკასიაში არ არსებობს. სამწუხაროდ, ეს უნიკალური აპარატურა ამდენი წლის განმავლობაში უმოქმედოდ იყო. ხსენებული გამა-კამერისთვის საჭირო სპეციალური კარადა, რომლის ღირებულება 200 000 ლარამდეა, შეიძინა საერთაშორისო სააგენტო "მაგატემ" და ეს კარადაც ასევე დაუმონტაჟებელი იყო. ჩვენ უკვე მოვახდინეთ ორივეს დამოანტაჟება და პრეზენტაციაც მალე ჩატარდება. ასევე, დაგეგმილი გვაქვს ზემოთ ნახსენები სამი სართულის სარეაბილიტაციო პროექტის პრეზენტაცია. ვაპირებთ დამწვრობის ცენტრის განთავსებას, რადგან მისი შენობა გასხვისებულია და წარმოუდგენელია სახელმწიფოში არ ფუნქციონირებდეს ასეთი ცენტრი. ამასთან, დავაფიქსირეთ ინიციატივა ჩვენს ბაზაზე ინსულტის ცენტრის შექმნისა და 100-საწოლიანი სტაციონარის განთავსების თაობაზე, რაც ნამდვილად აუცილებლობას წარმოადგენს.

– რა როლს ასრულებს ამ საკითხში ჯანდაცვის სამინისტრო?

– ჩემი თანამდებობაზე დანიშვნისთანავე უდიდესი მხარდაჭერა მაქვს ჯანდაცვის მინისტრის მხრიდან. სასიხარულოა, რომ ამ სისტემას ისეთი პიროვნება უდგას სათავეში, როგორიც **დავით სერგეენკოა**. მას გავლილი აქვს ყველა გზა – დაწყებული ექიმობიდან, დამთავრებული მთავარ ექიმობამდე. მასთან არაა საჭირო ახსნა-განმარტებანი არცერთ საკითხთან დაკავშირებით, რადგან თვითონაა კარგადა ყველაფერში გათვითცნობიერებული, ამიტომაცაა, რომ გვიადვილდება საქმის კეთება, თორემ, მერწმუნეთ, ძალიან გაგვიჭირდებოდა უსაშველო ლაბირინთებში გზის გაკვლევა. ბატონი დავითი დიდადაა მონადინებული, რომ რესპუბლიკურმა საავადმყოფომ ძველი ფუნქცია დაიბრუნოს. აქვე მინდა გამოვხატო დიდი მადლიერება ეკონომიკის მინისტრის, ბატონი **გიორგი კვირიკაშვილის** მიმართ. ჩვენი საავადმყოფო ამ სამინისტროს ბალანსზე და მის დაქვემდებარებაშია. ამ სამინისტროსგანაც მნიშვნელოვანი თანადგომა გვაქვს, რაც სტიმულის მომცემია და თავდადებული საქმიანობის განწყობას გვიძლიერებს...

– ბატონო ავთო, რატომ მარტო სამი სართული, სხვა სართულები... ან საიდან, თუნდაც ამისთვის საჭირო ფინანსები?

– ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროექტის განხორციელება შეუძლებელია მხოლოდ საკუთარი ძალებით. დიდი იმედი გვაქვს ხელისუფლების და, პირადად, ბატონი პრემიერის. ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ რესპუბლიკური საავადმყოფო იყო „დედასახლი" ჩვენს ქვეყანაში არსებული სხვა სამედიცინო დაწესებულებებისა. აქ იყო განლაგებული სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკურ კათედრათა უმეტესობა, სადაც მუშაობდნენ გამოჩენილი, ცნობილი კლინიცისტები და მეცნიერები, ძირითადად აქ დაეუფლა პროფესიას სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა მრავალი თაობა... მიმაჩნია, რომ **რესპუბლიკური საავადმყოფოს აღორძინება სამედიცინო სფეროს აღორძინების ტოლფასია**. ჯერჯერობით დახმარებისთვის არ მიგვიმართავს ხელისუფლებისთვის, საწყის ეტაპზე საკუთარი შესაძლებლობანი მოვსინჯეთ. მთავრობას ვაჩვენებთ გახარჯული თანხების შედეგს. საავადმყოფოს გაპარტახებასთან ერთად, ცუდი ისიც მოხდა, რომ სხვადასხვაგან გაიფანტნენ ჩვენი მაღალპროფესიონალი კოლეგები. მაგრამ ისინიც ნელ-ნელა გვიბრუნდებიან და უერთდებიან აქ შემორჩენილ ღირსეულ მაღალკვალიფიციურ კადრებს. მალე ჩვენ გვერდით იქნებიან ისეთი პროფესიონალები, როგორებიც არიან **კახა ქუნთელია, გურამ გვასალია** და არაერთი სხვა.

– ბატონო ავთო, შეკითხვასთან ერთად მინდა გითხრათ, რომ წინასაარჩევნოდ საქართველოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებს შეხვედრა გვქონდა ბატონ ბიძინა ივანიშვილთან. როცა თავი წარვუდგინე სამედიცინო უნივერსიტეტის კოოპერატიული ბინათმშენებლობის თავმჯდომარედ, პირველი ის, რაც სინანულით აღნიშნა, რესპუბლიკურ საავადმყოფოში არსებულ სავალალო სიტუაციას ეხებოდა. მითხრა, რომ მისი დიდი სურვილი იყო ამ კლინიკის სრული რეაბილიტაცია, თანამედროვე დონეზე აღჭურვა, მუნიციპალური საავადმყოფოს სტატუსის მინიჭება და სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის სასწავლო ბაზად გამოყენება, რისთვისაც მან თურმე კოლოსალური თანხა გაიღო, მაგრამ უგზო-უკვლოდ გაქრა ეს თანხა. აქვე დასძინა, რომ თუ ხელისუფლებაში მოვიდოდა, ყველაფერს გაარკვევდა... ხომ არ დაწყებულა „გარკვევა" ან ხომ არ იგრძნობა ამ მიმართებით რამე?

– დასაწყისშივე აღვნიშნე პრემიერის ძალისხმევის შესახებ ჩვენი კლინიკის მიმართ. ბატონი ბიძინას შეკვეთითაა ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი კომპანიის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული რვასართულიანი საავადმყოფოს პროექტი, რომლის მიხედვით ძირითადად შენარჩუნდება რესპუბლიკური საავადმყოფოს შენობა, ოღონდ ექნება წინა ხედი წაგრძელებული და ხიდებით შეერთებული ე. წ. ემერჯენსთან, რომელიც უცვლელი რჩება (მაჩვენებს). ალბათ აღნიშნულ პროექტს პრემიერი მოიკითხავს, მაგრამ ჯერჯერობით ეს დღის წესრიგში არ დგას ქვეყანაში არსებული უფრო პრობლემური საკითხების გამო, თუმცა მერწმუნეთ, ამასაც სულ მალე მიექცევა ჯეროვანი ყურადღება. ახლა კი დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ახალდამონტაჟებული გამა-კამერის პრეზენტაციის ჩატარებას, სადაც აუცილებლად მოვიწვევთ ბატონ პრემიერ-მინისტრს, რითაც მოგვეცემა საშულება მის მიმართ დიდი მადლიერების გამოხატვისა. ბატონი ბიძინა ივანიშვილის მობრძანება კი ნიშანი იქნება ჩვენი კლინიკის აღორძინებისა...

– ბატონო ავთო, ალბათ დამეთანხმებით, რომ აქ, ე.წ. ემერჯენსში, საკმაოდ მძიმე პირობებში უწევს საქმიანობა, განსაკუთრებით, სარდაფსა და I სართულზე განთავსებულ ოთახებში მყოფ სამედიცინო პერსონალს. უჰაერობის გამო ძნელია ასეთ ვითარებაში საქმიანობა. როდის გაუუმჯობესდებათ სამუშაო გარემო, უწინარესად, აქანდაზისა და ცოცხის შესანახად გათვალისწინებულ ოთახებში მსხდომ ექიმებს?

– ეს ჩემი დარდია და ძალიან ვარ შეწუხებული. როგორც იქნა მივაღწიე აქ განთავსებული კერძო ლაბორატორიის გაახლებას, რისთვისაც მადლობას ვუხდი ჯანდაცვის მინისტრს, ბატონ **დავით სერგეენკოს**, ეკონომიკის მინისტრს, ბატონ **გიორგი კვირიკაშვილს** და სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს უფროსს, ბატონ **დიმიტრი ქუმსიაშვილს**. რომ არა მათი მხარდაჭერა, ვერ შევძლებდი ამ საკმაოდ დიდი ფართობის გამოთავისუფლებას. ახლა გვაქვს საშუალება საგრძნობლად გავუუმჯობესოთ ამ ოთახებში მყოფ ექიმებს სამუშაო პირობები.

– ბატონო ავთო, თქვენ იცით, რომ ეს საავადმყოფო ხელისუფლების მიერ ოფიციალურად სასწავლო ბაზად იყო გადაცემული სამედიცინო უნივერსიტეტისთვის და იგი დღესაც იწოდება თსსუ-ის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკად. როგორ ფიქრობთ, მისი აღორძინების შემთხვევაში, შეუნარჩუნდება ეს სტატუსი მას და შეასრულებს თუ არა იგი სასწავლო ბაზის როლს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ისევე, როგორც ადრე?..

– ეს ურთიერთობა ჩვენსა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შორის არსებობს, რაც უტყუარი წინაპირობაა იმისა, რომ მძლავრ, ძირითად სასწავლო ბაზად იქცევა ეს კლინიკა ჩვენი მომავალი კოლეგებისთვის. თავად როგორ მიგაჩნიათ, მე, რომელსაც პროფესიული საზრდო მომცა სამედიცინო უნივერსიტეტმა, მე, რომელიც პროფესიულად დავხელოვნდი ამ კლინიკაში, განა შეიძლება საწინააღმდეგო აზრი მქონდეს ამაზე და, არა მარტო მე, ვინც უნდა იყოს ამ საავადმყოფოს ხელმძღვანელი, ასე უნდა ფიქრობდეს, რადგან ეს ვალდებულებაა და არა სურვილი.

– ძალიან იმედიანად მისტუმრებთ, ბატონო ავთო... „გვარიც მიწყობს ხელს, – მეუბნება ღიმილით და თან კედელზე ჩამოკიდებულ „საქართველოს იმედის" ხატზე მიმანიშნებს, სწამს, რომ მისი შემწეობით იმედს ფრთები შეესხმება, სულ მალე საქართველო აღორძინდება და მასთან ერთად რესპუბლიკური საავადმყოფოც... იქვე ვაჟა-ფშაველას პორტრეტიც ჰკიდია, სათაყვანებელი და ეტალონი ბატონი ავთოსთვის... იქნებ ვაჟას „კაი ყმამ" შთაბერა სული ავთო იმედაძეს კაიყმობისა... მე ასე მგონია, ჩემსავით ალბათ ბევრ სხვასაც, ამაში დარწმუნებული ვარ...

ბატონი ავთოს კაბინეტიდან გამოსვლისას ერთი ძალიან კარგი პროფესიონალი და უტყუარი დიაგნოზის დამსმელი ექიმი შემხვდა. იგი არა მარტო ავადმყოფობის, არამედ ადამიანობის დიაგნოზსაც შეუმცდარად სვამს: „ამდენი ხანია აქ ვმუშაობ, რამდენი ხელმძღვანელი გამოვიცვალეთ, ამჟამინდელის მსგავსი არ ღირსებია ჩვენ საავადმყოფოს. ისეთი აურა აქვს, ყოველგვარ სატკივარს დაგავიწყებს და სიხარულით განგაწყობს. საოცრად ემპათიკურია, იცით ემპათიკური რას ნიშნავს (მეკითხება და მიხსნის)? როგორი აღელვებული და აგრესიულიც არ უნდა იყოს ავადმყოფი და მისი პატრონი, ისე დაამშვიდებს, ისეთ იმედს ჩაუსახავს, რომ ყოველნაირ ტკივილსა და შეჭირვებას დაავიწყებს. ქარიზმატულიცაა, რაც არა მარტო პოლიტიკოსს, არამედ ხელმძღვანელ პირს და ექიმსაც სჭირდება". ამის მთქმელს დასანერად არ უთქვამს ეს ჩემთვის, მან არც იცოდა ჩემი სტუმრობის შესახებ ბატონ ავთოსთან, ამიტომაც არ ჩავთვალე საჭიროდ მისი დასახელება... მითუმეტეს, როცა არ უყვარს რეკლამირება... მის ნათქვამს კი ნამდვილად ფასი აქვს...

დასასრულ: *უზღვავი სიყვარულით ცხოვრება რჩეულთა ხვედრია, ულევი სიკეთის გაცემა ბედნიერება და ღვთისმოსაობაა, ერთიც და მეორეც თქვენშია, ბატონო ავთო, ამიტომ დიდი პოეტის სტრიქონებით გეტყვით – „იარეთ ფართო ნაბიჯით გზაზე, სივრცე იმხელა გასაქანს გაძლევთ..."*

დალი გაგეშია

P.S. 24 აპრილს „შერატონ მეტეხი პალასში" ჩატარდა კლინიკის დაარსებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია – „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ 40 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ", რომლის შესახებაც ინფორმაციას მოგაწვდით გაზეთის მომავალ ნომერში.

სტუდენტური გვერდი

საგაზეთო წერილები სტუდენტური ღონისძიებების შესახებ კვლავ სტუდენტური გვერდის რედაქტორმა, ნინო არჩვაძემ მოგვაწოდა მისივე ავტორობით, რასაც სიამოვნებით ვთავაზობთ მკითხველს.

9 აპრილი – დამოუკიდებლობის დღე

კიდევ ერთხელ გაისმა გლოვის ზარი საქართველოში: 16 ადამიანი შეეწირა ზვარაკად მარტო იმ დღეს, შემდეგ კი... რამდენი დაიღუპა, რამდენი მოიწამლა... ხალხში „შავლეგოსა" და „სალაღობოს" ტკბილი ჰანგები ისმოდა და უცებ ამ ჰანგებს სასოწარკვეთის, კივილის, ყვირილის ხმები შეერია. სიმღერა შეწყდა, ხალხი აირია, დაიქსაქსა, აქეთ-იქით მიაწყდა... რუსთაველზე კი დარჩა დაჩეხილი ჭადრები და კიდევ... სისხლიანი გვამები... საქართველო ერთად შეიკრა, **ერთი გული აძგერდა ქვეყანაში**, ყველა ერთმანეთს ამოუდგა გვერდით. რუსთაველი ყვავილებმა დაფარა. დაღუპულთათვის პატივის მისაგებად უამრავი ხალხი მოაწყდა ტიტებით ხელში: თავისუფლებას შეეწირნენ და შემოაბიჯა კიდეც თავისუფლებამ – **ორი წლის შემდეგ 9 აპრილი დამოუკიდებლობის დღედ გამოცხადდა** და ზეიმის, გამარჯვების, თავისუფლების დღედ იქცა.

დღესაც უამრავი ხალხი იკრიბება ტრაგედიის ადგილზე ყოველწლიურად და პატივს მიაგებს თავისუფლებას და თვითმყოფადობას მონატრებულ ადამიანებს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვითმმართველობამ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსთან არსებული სტუდენტური თვითმმართველობების განვითარების კომისიასთან ერთად, განახორციელა 9 აპრილის ტრაგიკული დღისადმი მიძღვნილი საპატიო აქცია.

სტუდენტებმა წითელი ტიტებით შეამკეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი. დაღუპულთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა სამების საკათედრო ტაძრის მღვდელ-მონაზონმა **ლუკამ** (ფალავანდიშვილი) და მგალობელთა გუნდმა **„ლაზარემ"**. ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი.**

ქვე-მოქმედება

აუტიზმით დაავადებულთა დასახმარებლად

აუტიზმს დიდი ხნის წარსული და შედარებით ხანმოკლე ისტორია აქვს. ტერმინის გაჩენამდე მრავალი საუკუნით ადრე ლეგენდებში, ზღაპრებში, მოგვიანებით კი სამედიცინო ტექსტებში აღწერილნი არიან საკუთარ თავში ჩაკეტილი, ხშირად – განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები, რომლებიც უცნაური ქცევით გამოირჩევიან. ისინი სწორედ აუტიზმით დაავადებული ადამიანები უნდა იყვნენ.

პირველად ტერმინი ,,აუტიზმი" 1943 წელს ამერიკელმა ბავშვთა ფსიქიატრმა **ლეო კანერმა** გამოიყენა უკვე კლასიკად ქცეულ ნაშრომში –**„აფექტური კონტაქტის აუტისტური დარღვევები".**

მას შემდეგ, აუტიზმის გამომწვევი მიზეზების დადგენის და კორექციული პროგრამების ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით, უზარმაზარი პროგრესი შეინიშნება, მაგრამ აუტიზმი მაინც რჩება გამოცანად, რომელზე პასუხიც კვლავ არ არსებობს. უკანასკნელი მონაცემებით კი აუტიზმის სიხშირე მატულობს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აუტიზმი ჯანმრთელობის გლობალურ კრიზისად აღიარა, ხოლო მდგომარეობის გაუმჯობესების ეფექტურ მექანიზმად აუტიზმის შესახებ ცოდნის ამაღლება მიიჩნია. 2007 წლიდან, გაეროს რეზოლუციით, აუტიზმის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მსოფლიო დღედ 2 აპრილი გამოცხადდა.

სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ყოველწლიურად აღნიშნავენ 2 აპრილს და ცდილობენ მცირედით მაინც დაეხმარონ აუტიზმით დაავადებულ ბავშვებს.

2 აპრილს თსსუ-ის მესამე სასწავლო კორპუსის წითელ დარბაზში, **სტუდენტური თვითმმართველობის, ასევე, აუტიზმის ცენტრისა** და **წმიდა გიორგის სახელობის აუტიზმის ცენტრის** ორგანიზებით, გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი აუტიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. აუტიზმით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად კონცერტში მონაწილეობდნენ მომღერლები: **ნოდიკო ტატიშვილი, დათუნა მგელაძე, ვაჟა მანია, გიორგი სუხიტაშვილი, ელენე ფოჩხუა, სოფო ბედია, სალომე ბაკურაძე.** საღამოს წამყვანი იყო **კოტიკო თოლორაია.**

აუტიზმით დაავადებული ადამიანების დასახმარებლად ახალგაზრდობას ბევრის გაკეთება შეუძლია; პირველ რიგში, ერთად უნდა შევქმნათ სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ასეთი ადამიანების ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციას, ამიტომ **შემოგვიერთდით, რათა დავარღვიოთ სტიგმითა და უიმედობით გაჯერებული დუმილი და დავიწყოთ აქტიური ქმედება!**

საქართველო – თამბაქოს გარეშე

ანტინიკოტინური კამპანია ერთი დღით, უფრო სწორად, ორიოდე საათით, თბილისის პარკებსა და სპორტულ დარბაზებში ორმოცდაათიოდე ახალგაზრდას გამოშლის და ამის შემდეგ, მინიმუმ ერთი წლით, მომავალ 29 მარტამდე, მწეველებიც და არამწეველებიც ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდებიან.

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად 12-15 ათასი მწეველი იღუპება. უშუალოდ თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიებით სიკვდილიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი 7-9 ათასის ფარგლებში მერყეობს. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ამგვარი პათოლოგიების 27% სწორედ თამბაქოს მოხმარების შედეგია და, მიუხედავად შემაშფოთებელი სტატისტიკისა, მწეველების რიცხვი არ იკლებს. არაერთი ორგანიზაცია ცდილობს ხელი შეუწყოს საზოგადოების უფრო მეტად ინფორმირებულობას თამბაქოს მავნე ზემოქმედების შესახებ. ამ თვალსაზრისით გამართულ ღონისძიებებს ყოველწლიურად სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებიც უერთდებიან.

„საქართველო – თამბაქოს გარეშე", – ამ სახელწოდებით თამბაქოს საწინააღმდეგო კიდევ ერთი ღონისძიება ჩატარდა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიც შეუერთდა. სტუდენტურმა თვითმმართველობამ სტუდენტებისთვის წამახალისებელი ფოტოკონკურსი ჩაატარა, რომელიც თამბაქოსგან თავისუფალი გარემოს შექმნას და თამბაქოს ზეგავლენის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებას მიეძღვნა. თსსუ-ის პირველი სასწავლო კორპუსის „ცისფერ დარბაზში" ფოტოკონკურსში მონაწილეთა დაჯილდოება და მოკლემეტრაჟიანი ფილმის – **„ჩემი ბოლო სიგარეტის ღერი"** – ჩვენება შედგა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში: **„ჟიურის რჩეული"** – მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი **მოჰამედ ნიაზი** და **„ხალხის სიმპათია"** – მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები: **სანდრო მეგრელიშვილი** და **ვახო გუმბერიძე.**

ფასდაცვა გუშემ – ქვეყნის პოლიტიკის ნაწილი

გარემოს ჰიგიენის თანამედროვე პრობლემები

„უსაფრთხო სასმელი წყალი და სანიტარიული პირობები გადამწყვეტია სიღარიბის დაძლევისთვის, ქვეყნის მდგრადი განვითარების და ათასწლეულის განვითარების მიზნის მიღწევისთვის".

ბან კი-მუნი – გაეროს გენერალური მდივანი

ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო, საქართველოს კონსტიტუცია საკანონმდებლო წესით განამტკიცებს ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების – ნორმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის აუცილებლობას.

ამ მიმართულებით ქვეყანაში სიტუაცია მეტად არასახარბიელოა, ვინაიდან ცნობილი სოციალურ-პოლიტიკური ძვრების შედეგად განვითარებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში, უკანა პლანზე მოექცა პროფილაქტიკური, სანიტარიულ-ჰიგიენური, ეპიდემიოლოგიური და გარემოს დაცვითი საკითხები, მოიშალა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის სისტემა, შესუსტდა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების მოთხოვნების შესრულებაზე სახელმწიფო ზედამხედველობა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯანმრთელობისა და ადამიანის საარსებო გარემოს დაცვის პრობლემების გადაჭრა ყველა, განსაკუთრებით კი, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნისთვის, ძალზე რთულ სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანას წარმოადგენს, რომლის განხორციელება კომპლექსურია და, ჯანმო-ს რეკომენდაციების თანახმად, მჭიდრო ინტერსექტორულ თანამშრომლობასა და ინტეგრირებულ მიდგომას მოითხოვს.

ამ პრობლემის აქტუალობაზე მეტყველებს უკანასკნელ წლებში ჯანმო-ს ევროპის რეგიონული ბიუროს მიერ გარემოს ჰიგიენის საკითხებზე ჩატარებული ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრების კონფერენციებზე მიღებული დეკლარაციები და სამოქმედო გეგმები.

საქართველოში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ჯანდაცვის სფეროში განხორციელდა მთელი რიგი ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილებები. კერძოდ, ასეთი ცვლილებები განხორციელდა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის (ჯანმო-ს ტერმინოლოგიით – გარემოს ჰიგიენის სამსახურის) სფეროშიც, რამაც, უმეტეს შემთხვევაში, ვერ მოიტანა მოსალოდნელი დადებითი შედეგები.

გარემოს ჰიგიენის სფეროში სანიტარიული ზედამხედველობის განხორციელება მნიშვნელოვნად შეაფერხა 90-იან წლებში მომხდარმა ინსტიტუციურმა ცვლილებებმა, რის შედეგადაც სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობისა და ეპიდემიოლოგიური კონტროლის სამსახურები სტრუქტურულად ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სამსახურებად ჩამოყალიბდა. აღნიშნულმა ორგანიზაციულმა ცვლილებამ, სხვა მომენტებთან ერთად, გამოიწვია სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობისა და ეპიდემიოლოგიური კონტროლის (საზოგადოებრივი ჯანდაცვის) სამსახურებს შორის კოორდინირებული მუშაობის რღვევა.

ამასთან ერთად, ჩატარებულია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო მუშაობა. 2003 წლიდან მოქმედებაში იყო საქართველოს კანონი – „საქართველოს სანიტარიული კოდექსი", რომელიც 2007 წელს ჩაანაცვლა საქართველოს კანონმა – „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ".

საზოგადოების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიმართულებით ერთ-ერთი არსებითი მომენტია ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს ხარისხობრივი ნორმების შემუშავება და დამტკიცება. ამ მიზნით 2000 წლიდან დაიწყო კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მათი დამტკიცება. განვლილ პერიოდში შემუშავებულია 200-მდე სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმატიულ-მეთოდური დოკუმენტი ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით. თუმცა, გაუგებარი მიზეზებისა და არასერიოზული არგუმენტების გამო, ამ მხრივ სამუშაოები, ფაქტობრივად, 2004 წლიდან შეწყდა.

ადამიანის საარსებო გარემოს მდგომარეობის მონიტორინგისა და მისი ხარისხობრივი გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2005 წელს. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, განსაზღვრული იყო ქვეყანაში სოციალურ-ჰიგიენური მონიტორინგის სისტემის დანერგვა. მონიტორინგის ძირითადი არსია მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით გარემოსა და ჯანმრთელობის მდგომარეობის ანალიზი, შეფასება და პროგნოზი, აგრეთვე, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და გარემოს ფაქტორებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის განსაზღვრა.

სოციალურ-ჰიგიენური მონიტორინგის განხორციელების ძირითადი მიზნებია:

ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;

გარემოს მავნე ფაქტორების ზეგავლენით განპირობებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი ინფექციური და მასობრივი

→ მე-8 გვ.-ზე

ყოველთვიური გაზეთი – ქვეყნის პოლიტიკის ნაწილი

მე-7 გვერდიდან ←

არაგადამდები დაავადებებისა და მოშხამვების, აგრეთვე, პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გარემოს მდგომარეობის პროგნოზირება და რისკის შეფასება;

საინფორმაციო ფონდის ფორმირება;

ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად წინადადებების მომზადება;

მონიტორინგის ჩატარებისას მიღებული შედეგების შესახებ საზოგადოებრიობის ინფორმირება;

მონიტორინგის ჩატარების საფუძველზე უნდა შეიქმნას სოციალურ-ჰიგიენური მონიტორინგის მონაცემთა ***ეროვნული საინფორმაციო ფონდი*** – მრავალწლიანი დაკვირვებების საფუძველზე ჩამოყალიბებული მონაცემთა ბაზა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გარემოს ფაქტორების შესახებ, აგრეთვე, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და გარემოს ფაქტორების ზეგავლენას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზის, პროგნოზისა და განსაზღვრის, ასევე, რისკის შეფასების სფეროში ნორმატიული აქტების, საცნობარო და მეთოდური მასალების ერთობლიობა;

მონიტორინგის სისტემაში, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, უნდა მონაწილეობდნენ სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები. მონიტორინგის განხორციელება საჭიროებს სხვადასხვა უწყებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების კოორდინირებულ საქმიანობას.

ქვეყანაში სოციალურ-ჰიგიენური მონიტორინგის სისტემის სრულყოფილი დანერგვა მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნებოდა ადამიანის საარსებო გარემოს რეალური მდგომარეობის შეფასებისა და მისი შემდგომი გაჯანსაღების ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებისთვის.

პრობლემა კიდევ უფრო დამძიმდა 2005 წლიდან, როდესაც მოხდა სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის კიდევ ერთი სტრუქტურული რეორგანიზაცია, ფაქტობრივად, ლიკვიდაცია. სათანადო სანიტარიული მონიტორინგის სფეროს გარეთ დარჩა ადამიანის საარსებო გარემოს ყველა ფაქტორი. შექმნილ მძიმე მდგომარეობას არსებითად ვერ ცვლის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში არსებული სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელიც სახელმწიფო სანიტარიულ ზედამხედველობას ახორციელებს სურსათსა და მის შემადგენელ აუცილებელ კომპონენტზე – სასმელ წყალზე.

ადამიანის საარსებო გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი პრობლემის დღევანდელი მდგომარეობის მთელი უცნაურობა იმაშია, რომ სოციალურ-ჰიგიენური მონიტორინგის სისტემის დანერგვის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების გამოცემიდან ძალიან მალე, იმავე წელს, გაუქმდა მისი განმახორციელებელი სტრუქტურა – სახელმწიფო სანიტარიული სამსახური.

დღეისთვის გვაქვს ასეთი პარადოქსული სიტუაცია – არსებობს საქართველოს კანონი – "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ". იგი ითვალისწინებს ადამიანის საარსებო გარემოს მთელი რიგი სფეროს მდგომარეობის კონტროლს, რაც ამ გარემოს გაჯანსაღებისთვის რეკომენდაციების შემუშავებისა და შესაბამისი კომპეტენტური სტრუქტურებისთვის მათი მიწოდების წინაპირობაა. კერძოდ, საქართველოს კანონით – „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ", რომლის ერთ-ერთი მიზანია ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიების განხორციელება. მაგრამ, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების არარსებობის გამო, მათი რეალიზაცია არ ხდება. კერძოდ, არ სრულდება კანონის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული სამუშაო, აგრეთვე, საქართველოს კანონის – „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" – მთელი რიგი მოთხოვნის შესრულება სურსათის უვნებლობისა და კეთილსაიმედო ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში.

ამჟამად ქვეყანაში გარემოს ჰიგიენის სფეროს ორგანოების საქმიანობა, მრავალი ასპექტის გათვალისწინებით, არასასურველია.



ქვეყანაში მიღებული პრინციპული გადაწყვეტილების საფუძველზე, გარემოს ჰიგიენის სფეროში, ერთიანი სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის ნაცვლად, ფუნქციობს სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების დაქვემდებარებაში მყოფი სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები. კერძოდ, ასეთი ორგანოები არსებობს სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროების, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის, აგრეთვე, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის შემადგენლობაში.

ერთიანი სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის გაუქმებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მაკოორდინირებელი როლის უგულვებელყოფამ მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა სამსახურის საკადრო პოლიტიკის განხორციელებაში – ამ სტრუქტურებში, არაიშვიათად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების (ჰიგიენისტების) ნაცვლად, დასაქმებულია სხვა პროფესიის პირები, რაც მეტად არასახარბიელო გარემოებას ქმნის სამსახურის ეფექტური ფუნქციობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია გარემოს ჰიგიენის სფეროში არსებითი ღონისძიებების გატარება. ამ მიმართულებით, გარემოს ჰიგიენის წამყვან მეცნიერებთან და პრაქტიკოს სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად, შემუშავებულია ღონისძიებათა პაკეტის რამდენიმე ვარიანტი, რომელიც სხვადასხვა დროს წარედგინა ქვეყნის უმაღლეს მმართველ ორგანოებს (საქართველოს პარლამენტს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს).

ვინაიდან პრობლემის გადაწყვეტა უშუალოდ დაკავშირებულია შესაბამისი კანონების მოთხოვნების შესრულებასთან, უპირველესი ღონისძიება უნდა იყოს საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს კანონის – „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" (2007 წლის 27 ივნისი) და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების – „სოციალურ-ჰიგიენური მონიტორინგის დებულების დამტკიცების თაობაზე" (№93, 2005 წლის 22 თებერვალი) შესრულების უზრუნველსაყოფად.

გარემოს ჰიგიენის (სანიტარიული ზედამხედველობის) სამსახურის ინსტიტუციური მოწყობა შესაძლებელია სხვადასხვა ვარიანტის გამოყენებით:

1. ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ღონისძიებების რეალიზაციაზე ეფექტური სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, ერთიანი სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის სტრუქტურის შექმნა, რაც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

ა. ერთიანი სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის ინსტიტუციური, სტრუქტურული და ფუნქციური ოპტიმიზაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მეთოდური ხელმძღვანელობით; ამ მიზნით, შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების განხორციელება სათანადო კანონებში ცვლილებების შეტანით;

ბ. სანიტარიული ზედამხედველობის (გარემოს ჰიგიენის) და ეპიდემიოლოგიური კონტროლის (საზოგადოებრივი ჯანდაცვის) სამსახურების ინსტიტუციური მოწყობისა და ურთიერთთანამშრომლობის მოდელის შემუშავება

და მისი საფუძვლიანი დასაბუთება.

აღნიშნული ვარიანტის განხორციელება, ქვეყნის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, გარკვეულ სირთულებთანაა დაკავშირებული. ამ გარემოების გათვალისწინებით, უფრო რეალურად გვეჩვენება სხვა ვარიანტების, ან მათი კომბინაციის განხორციელება.

2. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის ინსტიტუციური და სტრუქტურული რეორგანიზაციის დაწყებული პროცესის დასრულება, რაც ძირეულ კორექციას საჭიროებს ქვეყნის სპეციფიკისა და სამსახურისადმი პირველხარისხოვანი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა. ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ღონისძიებების კონტროლის უზრუნველმყოფი სტრუქტურული ერთეულების შექმნა დარგობრივი პრინციპით, შესაბამის უწყებებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ანალოგიურად (გარემოს ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ფაქტორები – გარემოს დაცვის სამინისტრო; შრომის პირობები სამრეწველო საწარმოებში – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; მოზარდი თაობის ჯანმრთელობა – განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; შრომის პირობები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისას და შხამ-ქიმიკატებთან დაკავშირებული საკითხები – სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სამედიცინო დაწესებულებების ჰიგიენის საკითხები – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და ა.შ.);

ბ. სანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელი სტრუქტურების ფუნქციონირების განხორციელების მეთოდური უზრუნველყოფის მაკოორდინირებელი და მაკონტროლებელი ორგანოს შექმნა საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში (უწყებათშორისი ორგანოს ფუნქციებით).

გ. შესაბამის უწყებებში დარგობრივი პრინციპით შექმნილი უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ღონისძიებების კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების ნორმალური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, – „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ", „სურსათის, ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი", „გარემოს დაცვის შესახებ" და სხვა ამ მიმართულების კანონებში (და კანონქვემდებარე აქტებში) შესაბამისი ცვლილებების და დამატებების შეტანა.

3. წინადადებათა მესამე ვარიანტი ითვალისწინებს ერთიანი სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ფუნქციონირებას საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის არსებული სტრუქტურის ბაზაზე, შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებით.

დღევანდელ ეტაპზე რეალურად გვეჩვენება წინადადებების მეორე და მესამე ვარიანტების კომბინაციის გამოყენება. კერძოდ, შესაძლებელია დარგობრივი პრინციპით შექმნილი სამსახურების სრულფასოვანი ფუნქციობა, ხოლო გარემოს ჰიგიენის სხვა სფეროებში სანიტარიული კონტროლის განხორციელება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის სტრუქტურაში არსებული გარემოს ჰიგიენის სპეციალური სტრუქტურული ჯგუფის მიერ. იდეალურად მიგვაჩნია ე.წ. ჯვარედინი კონტროლის განხორციელება, მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს პარალელურად, სურსათზე კონტროლის განხორციელება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის მიერ. თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, ამ მოდელის რეალიზაცია, ჯერ-ჯერობით გარკვეულ სირთულებთანაა დაკავშირებული.

ღონისძიებათა მოწოდებული სამივე ვარიანტიდან ნებისმიერის რეალიზაციის შემთხვევაში, გარემოს ჰიგიენის სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა სისტემაში წამყვან ამოცანად გვესახება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფუნქციების აღდგენა, კერძოდ, მისთვის გარემოს ჰიგიენის სფეროში სხვადასხვა დარგობრივი სტრუქტურის შემადგენლობაში ფუნქციონირებადი ორგანოების მაკოორდინირებელი როლის დაკისრება, ქვეყნის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საფუძველზე. ამ ფუნქციის შესრულებისთვის სამინისტროს სტრუქტურაში უნდა შეიქმნას სათანადო სტრუქტურული ერთეული. ამასთან ერთად, ეს სტრუქტურა კოორდინაციას გაუწევს ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას. მის მუშაობას კოორდინაციას გაუწევს მინისტრის მოადგილე მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის (მთავარი ჰიგიენისტის) სტატუსით.

გარდა აღნიშნულისა, აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების – „სოციალურ-ჰიგიენური მონიტორინგის დებულების დამტკიცების თაობაზე" (№93, 2005 წლის 22 თებერვალი) ახალი რედაქციის შემუშავება და დამტკიცება საქართველოს კანონის – „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" – მოთხოვნათა რეალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, აუცილებელია გარემოს ჰიგიენის სფეროში კანონქვემდებარე ნორმატიულ-მეთოდური აქტების შემუშავებისა და სამინისტროს მიერ დამტკიცების შეჩერებული პროცესის გაგრძელება და უკვე მოქმედი აქტების გადახედვა.

გარემოს ჰიგიენის სფეროს დაწესებულებების გამართული ფუნქციობის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა ქსელის უზრუნველყოფა შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებით. ამ მიზნით, შესაბამისი უწყებების მიერ ყურადღება უნდა მიექცეს სანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების დაკომპლექტებას სათანადო კვალიფიკაციის (გარემოს მედიცინა _ ჰიგიენა) სპეციალისტებით. ამასთან ერთად, უნდა აღდგეს 2006 წლიდან შეწყვეტილი პროფილაქტიკური მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებებით უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების სისტემა პროცესის შემდგომი სრულყოფით, თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გარემოს ჰიგიენის სფეროში არსებული მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების პოლიტიკური ნება, რაც შექმნის წინაპირობას ძლიერი და ქმედითუნარიანი სახელმწიფო ზედამხედველობითი ორგანოს ჩამოყალიბებისა და ფუნქციობისთვის. ამით საფუძველი შეექმნება ადამიანის კონსტიტუციურად დადგენილი უფლების – ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში – რეალიზაციას.

რევაზ კვერენჩხილაძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის მიმართულების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

სამძიმარი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გარემოს დაცვის და პროფესიული მედიცინის მიმართულების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ასოცირებულ პროფესორ **ლალი ბაძრაძეს** ძმის,

ავთანდილ ბაძრაძის

გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, მოსამზადებელი ცენტრის დირექცია, პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტი, სპორტისა და კულტურის ცენტრი, „სამედიცინო გაზეთის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ **ნელი ფხალაძეს**, სპორტისა და კულტურის ცენტრის დირექტორს, ბატონ **ზაურ ფხალაძეს** დის და ცოლისდის

მანანა არსენიშვილის

გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის დეპარტამენტი, „სამედიცინო გაზეთის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ დეპარტამენტის პედაგოგს, ქალბატონ **ნაილა ჩიხორიას** დის,

ცისანა ჩიხორიას

გარდაცვალების გამო.

რედაქციისგან:

პროფესორ რევაზ კვერენჩხილაძეს დაბადებიდან **65 წელი** შეუსრულდა. ცნობილი და აღიარებული მკვლევარი, სამედიცინო უნივერსიტეტის გარემოს ჯანმრთელობის და პროფესიული მედიცინის მიმართულების ხელმძღვანელი, რამდენიმე ათეული წელია ღირსეულად მოღვაწეობს ამ დარგში. მის მიერ მომზადებული ქართველ მედიკოსთა თაობები წარმატებით საქმიანობენ ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ვულოცავთ ბატონ რევაზს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ მთელი თავისი ცოდნით და გამოცდილებით, ასევე, საქმისადმი შესაშური თავდადებით და სანიმუშო პრინციპულობით დიდხანს ედგაროს ქვეყნის, ხალხის და მომავალი თაობის საკეთილდღეოდ!